მეთოთხმეტე წელი Quatorzième annee საქართველო უწინარეს ყოვლისა

# თეთრი გიორგი

ეროვნული დარაზმულობა თეთრი გიორგის ორგანო

„Thethri Ghiorghi“ journal de l'Organisation des Patriotes Géorgiens THETHRI GHIORGHI

№ 105 აპრილი 1939 წ. პარიზი Avril, 1939 Paris. № 105

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფაშისტური დარაზმულობა

17 წელია რაც ქართველი ემიგრაცია შეკავშირებაზედ მსჯელობს. ამის სარგებლობას ყოველი ჩვენგანი თავიდანვე კარგად ხედავდა. ხოლო დღეს იგი მსოფლიო მდგომარეობამ ჩვენს წინაშე უკიდურეს საჭიროებად აღმართა. უსათუოდ უნდა განვახორციელოთ ქართულ ძალთა შეკავშირება. მაგრამ ეს კავშირი, შეერთება ნაყოფიერი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ მას მსოფლიოს დღევანდელ მოვლენებს შევუფარდებთ, რათგან ჩვენი ქვეყნის მომავალი მსოფლიოს ვითარებაზედაა დამოკიდებული. მსოფლიოს ძალთა დღევანდელ ჭიდილში გადაწყდება საქართველოს ბედი. ჩვენი უნარი კი იმაში უნდა გამოიხატოს, რომ ევროპის დღევანდელი მდგომარეობა ეროვნული მიზანშეწონილობით გამოვიყენოთ. აი, თვით გარემოების, თვით მოვლენათა მიერ, სავსებით მკაფიოდ დასმული ამოცანა. ამისათვის აუცილებელია თანამედროვე მოვლენათა სწორი შეფასება. რა ხდება კულტუროსან მსოფლიოს თავს? დღეს ევროპა, აზიაც, გახვეულია აქამდე მისგან განუცდელ რევოლუციაში. ინგრევა ძველი მსოფლიო და შენდება ახალი ქვეყანა, რომლის სილუეტი უკვე ნათლად სჩანს. გაზ. „თეთრი გიორგიმ“ პირველსავე ნომრის მოწინავე წერილში გადაშალა მთელი სურათი მსოფლიოს მომავალი ვითარებისა. ყოველი ჩვენი სიტყვა ცხოვრებამ გაამართლა. გამართლდა ჩვენი წინასწარმეტყველებაც: დღეს შეჭიდებულია ორი ძალა. ცალი მხრივ ამხედრებულია ინტეგრალური ნაციონალიზმი, ანუ ის, რასაც უწოდებენ ფაშიზმს, ნაცსოციალიზმს, თეთრი გიორგელობას და სხვას. მეორე მხრივ ყოველი დრომოჭმული პრინციპები და მათი წარმომადგენელი ძალები: დემოკრატიული, სოციალისტური, ანარქისტული პარტიები, მეორე [illegible] ყველა ამ მავნე ფაქტორთა ციხე-სიმაგრე: მოსკოვის კრემლი.

საქართველო ორგანიული ნაწილია იმ ცივილიზაციისა, რომლის წიაღში სწარმოებს ეს გადამწყვეტი ბრძოლა. ამიტომ თუნდაც იგი დღეს დამოუკიდებელ და ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდეს, მაინც ამ ბრძოლის გარეშე ვერ დარჩებოდა, როგორც ვერ დადგა იგი გარეშე ქრისტიანული რევოლუციისა, რომელიც შეებრძოლა მაშინდელ დრომოჭმულ მსოფლიოს და რომელ ბრძოლითგან ჩვენი ქვეყანა სხვა კულტუროსან ერებთან ერთად გამოვიდა გამოაჯვეთული, ახალ სულშთაბერილი და აღორძინებული. ხოლო დღევანდელ ბრძოლაში ჩვენ ხაზგასმით ის გარემოებაცა გვხვდეს, რომ აწმყო საქართველოს ბატონობენ ის ძალები, რომელთ დღეს ფაშიზმი შესჭიდებია. ამ ბრძოლაში უნდა გადაწყდეს არა მხოლოდ ეროვნული გადახალისების საკითხი, არამედ დამოუკიდებლობისაც. არ უნდა შევცდეთ: აღნიშნული ორი ძალის ბრძოლის ძირითადი მოტივი იდეოლოგიური ბრძოლაა. დღეს ხდება ის, რაც ხდებოდა სარწმუნოებრივი ბრძოლების დროს, ხოლო უფრო დიდ მაშტაბში. ამიტომ საკითხი ქართველ პარტიათა შეკავშირებისა და გარეშე ძალთა გვერდით დარაზმვისა მხოლოდ პოლიტიკური ტაქტიკით ვერ განისაზღვრება. იგი ბუნებრივად იდეოლოგიურ ნიადაგზედა სდგას. აი რა ფარგლებში უნდა განხორციელდეს ქართულ ძალთა არა კავშირი, არამედ ორგანიული გაერთიანება, შეხორცება ერთ ეროვნულ იდეაში, დარაზმვა ერთი ეროვნული დროშის ქვეშ. ესე იგი, ეს შეერთება უნდა განხორციელდეს იმ ბუნებრივ ნიადაგზედ, რომელსაც თვით მსოფლიოს მდგომარეობა გვიკარნახებს. სხვანაირი საქციელი იქნებოდა ჩვენივე ხელით დაღუპვა იმ საქმისა, რომელს, დარწმუნებული ვართ, ყოველი ქართველი მამულიშვილი მზადაა შეეწიროს.

აქ ისმის საკითხი: რომელი მებრძოლი ძალის გვერდით უნდა დაირაზმოს ქართველობა? მსოფლიო ძალთა გადარჩევა თვით გვაძლევს ამ საკითხზედ სავსებით მკაფიო პასუხს: აშკარაა, ქართველობა უნდა დაირაზმოს პირველი ძალის გვერდით. იმიტომ რომ მისი მახვილი კომუნიზმის წინააღმდეგაცაა ამოწვდილი. კომუნიზმი კი რუსეთის, ე.ი. საქართველოს ეროვნული მტრის სინონიმია. მაგრამ თუ ადვილია ამ საკითხის პრინციპიალური გადაწყვეტა, პირიქით, ძნელია მისი განხორციელება. ძნელია სწორედ იმ ფაქტით, რომ ბრძოლა იდეოლოგიური გახლავს და ჩვენ, ქართველები კი გადარჩეული ვართ რამდენიმე პოლიტიკურ მრწამსზედ. წარმოუდგენელია თუ როგორ უნდა დაირაზმონ მსოფლიო ფაშიზმის გვერდით ის დემოკრატი ქართველები, რომელთა იდეალს, დემოკრატიზმს, იგი დაუნდობლად ებრძვის? გაჩაღებულია აგრეთვე ბრძოლა უსასტიკესი ფაშიზმსა და მარქსიზმს შორის. ერთ ერთი მათგანი უნდა დაემხოს. დიახ, და განა შესაძლებელია, რომ ქართველი, წევრი მეორე ინტერნაციონალისა, რომლისადმი მას ერთგულების ფიცი აქვს დადებული, ფაშიზმის მოკავშირედ გახდეს? როგორ უნდა ვენდოთ ან ჩვენ, ან გარეშე მოკავშირე ამგვარ თანამებრძოლს?

აი რატომ ვაცხადებთ შემდეგს კატეგორიულად: „თეთრი გიორგი“ არ სცნობს მენშევიკურ მთავრობას, რათგან სწორედ ამ მთავრობის უგნურობამ და უვარგისობამ დაამხო საქართველო; რადგან აქ, უცხოეთში, მან აწარმოვა ანტიეროვნული პოლიტიკა და აქაც, როგორც იქ, დამარცხდა და დაამარცხა ჩვენი საქმე; რათგან იგი სავსებით მოკლებულია ყოველგვარ კონსტიტუციონალურ და საერთაშორისო სამართლის სიადაგს; რათგან მან მოატყუა ყველა და უღალატა ყველას, ვინც უგნურობით თუ პირადი ანგარიშით მას ენდო და მასთან ითანამშრომლა. „თეთრი გიორგი“ არ დაუკავშირდება მენშევიკურ პარტიას, რათგან იგი მას მიაჩნია ეროვნულად მავნე მოვლენად, ნამდვილ სენად — გონებრივ და სულიერ მუნად — რომლის წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო და არა მასთან დაკავშირება. რათგან იგი ნაწილია მეორე ინტერნაციონალისა, რომელიც თავისი ბუნებით მტერია ერისა საერთოდ და საქართველოსი განსაკუთრებით, ვინაითგან ბუნებრივი მოკავშირეა კომუნისტური რუსეთისა. მენშევიკებთან კავშირი ყოველ პატრიოტს ძალაუნებურად ჩააყენებს ორჭოფ მდგომარეობაში და მენშევიკების საქმეს გააკეთებინებს. დროა ამ სინამდვილეს ყველანი მიხვდნენ.

არის გამოსავალი ამ რთული მდგომარეობითგან? გახლავს, თუ ქართველ ნაციონალისტ მოღვაწეებმა შეერთება გულწრფელად მოინდომეს. საჭიროა ქართველი პატრიოტები გავერთიანდეთ ერთ დიდ ეროვნულ მოძრაობაში, დავირაზმოთ ძლევამოსილი ფაშისტური დროშის ქვეშ ერთ ფაშისტურ პარტიაში. ამგვარ ორგანიზაციას უსათუოდ ძლიერი უცხოელი მოკავშირეები გაუჩნდებიან. მეორე მხრივ ამით ჩვენს დაავადმყოფებულ ემიგრაციას დავაყენებთ ძლიერი იდეისა და ორგანიზაციის წინაშე, გავაჯანსაღებთ მას საბოლოოდ, წამხდართ გავდევნით და გაერთიანებული სალი ძალებით განვაგრძობთ განმათავისუფლებელ ბრძოლას.

ვინც გონიერია და აწმყო მდგომარეობის ანალიზი ძალუძს, იგი დაგვეთანხმება და [illegible] ერთად ამ დიდი მიზნის განხორციელებას შეუდგება.

ლეო კერესელიძე

## თეთრი გიორგი ეროვნული ბრძოლის ცენტრში

მსოფლიოში მომხდარმა ღრმა ცვლილებებმა კომუნიზმის საბოლოოდ დასამარებისა და რუსეთის დაშლის იმედები დაჰბადეს.

ამ დიადი მომენტის მოლოდინში სრულიად ბუნებრივად ამოძრავდა ჩვენი ემიგრაცია. ამოქმედდენ პარტიები და დაჯგუფებანი, შეუდგენ ახალი გზის ძებნას, ტაქტიკის გადასინჯვას. ამუშავდნენ სხვა და სხვა კომისიები ახალი გაერთიანებისა და ფრონტის შესაქმნელად; აქ იყვნენ წარმოდგენილნი ყველანი, მარქსისტების ცენტრში შემავალნი, თუ მის გარეშე მყოფი ორგანიზაციები, აკლდა მხოლოდ თეთრი გიორგი, რომელიც ამ გადაჯგუფება გადმოჯგუფებას შორითგან უყურებდა და მონაწილეობა არ მიუღია.

რასაკვირველია, ვერავინ იტყვის იმას, რომ ეროვნულ ძალთა დარაზმვაზე ჩვენი ორგანიზაცია სხვებზე ნაკლებად ზრუნავდეს. ყველამ იცის, რომ თეთრი გიორგის მთავარი პრინციპი ერთობაა, ერთი დარაზმულობის შექმნა და მთლიანობის განხორციელების ცდას ის არასოდეს არ გაექცევა, მაგრამ, მიუხედავად ამისა თუ ის განზე გადგა და გაერთიანებისათვის მომუშავეთა რიგებს ახლოსაც არ გაეკარა, მას ამისათვის [illegible] საპატიო მიზეზები და მოსაზრება ჰქონდა.

ჩვენ თავიდანვე ვიცოდით რომ ახალი ფრონტის ინიციატორი ბ. ჟორდანია ბრძანდებოდა, რომლის მიმართ ჩვენი გარკვეული უარყოფითი შეხედულება არ შეცვლილა და არც შეიცვლება.

დიდი ხანია ვხედავდით, რომ ეგრედ წოდებული საერთო ფრონტის შენობა ჩვენ მარქსისტებს თავზედ ენგრეოდათ. საჭირო იყო შველა, დამპალი შენობის ახალი ბოძებით გამაგრება, ხოლო ახალ ძალთა გადასაბირებლად აუცილებელი იყო ისეთი ცვლილების მოხდენა, რომელიც ამ ფრონტის გარეშე მყოფ ძალების თავმოყვარეობას დააკმაყოფილებდა და მარქსისტებთან მისასვლელ გზასაც გაუადვილებდა.

ბ. ჟორდანიამ არ დააყოვნა და ფერისცვლას საფეხურებით შეუდგა; დაიწყო იმით, რომ თავის ჟურნალს მარქსისტული ლოზუნგი მოხსნა და პარტიის თავმჯდომარეობიდან გადადგა.

თ. გ. ყური არ ათხოვა ამ პატარა ოინებს და სხვებიც გააფრთხილა, რომ შეცდომაში არ შესულიყვნენ და ჟორდანიას ანკესზე არ წამოგებულიყვნენ.

ქართული მარქსიზმის მამამთავრის ფერისცვალების პირველმა საფეხურმა სასურველი შედეგები არ მოიტანა, ამიტომ მას მოყვა მეორე, უფრო ძლიერი, რომელმაც, როგორც ეტყობა, საკმაო შთაბეჭდილება მოახდინა. ბ. ჟორდანიამ მენშევიკური პარტიის დაშლის საკითხი დასვა და გაერთიანებისათვის „მხურვალე“ მოწოდებაც გამოუშვა.

„ჯერ ერი და მერე კლასიო“, ბრძანა მან და ჩვენმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა ამაში მარქსიზმის უარყოფა და ჟორდანიას საბოლოოდ ეროვნულ გზაზედ შედგომა დაინახეს; კისერზედ წნელშებმულნი წარსდგენ მის წინაშე და მორჩილება გამოუცხადეს.

თავის ძველ შეურიგებელ პოზიციაზედ დარჩა მარტო თეთრი გიორგი, რომელიც კარგად ხედავდა [illegible] ყველაფერი ეს [illegible] ხრიკი იყო [illegible] და ბეცთა თვალსახვევად და შესაცდენად.

მან იცოდა, რომ მარქსისტებს სხვა მიზანი და ანგარიშები ჰქონდათ და მათი ბელადი სრულებით არ აპირებდა არც პარტიის დაშლას და არც მარქსიზმის უარყოფას. თუ ამის შესახებ კიდევ ვინმეს ილუზიები აქვს და ჰგონია, რომ ბ. ჟორდანიამ რაიმე ახალი სთქვა, თავი შეიწუხოს და წაიკითხოს „ბრძოლის ხმის“ უკანასკნელი ნომერი, სადაც სწერია შემდეგი: „ჯერ ერი და მერე კლასი, საქართველოს სოც. დემ. თავის ჩასახვის პირველი დღიდანვე მკაფიოდ და გარკვეულად აღნიშნა იმავე ნ. ჟორდანიას პირით თავის სადეკლარაციო წერილში „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“ თუ როგორ ესმის მას ერი და კლასი და როგორი ურთიერთობაა მათ შორის. **და თუ დღეს ჟორდანია იმეორებს ამას, იმიტომ რომ ეს უბრალო ჭეშმარიტება დღესაც არ ესმის ბევრს და სწორედ ამათ მოაგონებს ჯერ ერი და მერე კლასიო“.** (ხაზი ჩვენია. კ. ს.).

თუ როგორ ესმის ბ-ნ ჟორდანიას და მარქსისტებს ერი და ეროვნული საკითხი, ეს საკმაოდ ცნობილია და აქ ამაზედ მკითხველის ყურადღების შეჩერება ზედმეტად მიგვაჩნია. ჩვენ ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ შეუძლებელი და წარმოუდგენელია ეს მართლაც უბრალო ჭეშმარიტება არ ესმოდეს ქართველ ნაციონალისტებს, რომელნიც წარბშეუხრელად განაგრძობენ მარქსისტებთან ერთად ჯდომას და მათთან შეთანხმების ძებნას.

ჩვენ ზემოდ დავინახეთ, რომ ის დებულება, თითქო ბ. ჟორდანიამ ძველ გზას თავი დაანება და ახალს დაადგა, უარყოფილია თვით მისი პარტიის მიერ და ჩვენი ნაციონალისტების უცნაური საქციელის გამამართლებელ არგუმენტად იგი არ გამოდგება. ამრიგად ამ სამწუხარო მოვლენის ახსნა [illegible] სხვაგან უნდა ვეძიოთ.

[illegible] ჩვენი ემი[illegible] დარჩა გარეშე იმ იდეოლოგიური ჭიდილისა, რომელიც დღეს მთელ მსოფლიოში სწარმოებს. ვერც ჩვენმა განსაკუთრ[illegible] და ჩვენშიც მოხდა ის, რაც ხდება ყველგან.

ძალთა გადარჩევის დროს მარქსიზმის მხარეზე აღმოჩნდენ მისი ბუნებრივი მოკავშირენი: დემოკრატები, ლიბერალები, ყველა ჯურის ინტერნაციონალისტები, ცხოვრებას ჩამორჩენილნი, დამარცხებულნი და მყუდრო კუთხის მაძიებელნი, მოკლედ, ყველა ანტიფაშისტური ძალები.

მადლობის ღირსია ბ. ჟორდანია, რომელმაც ფარდა ახადა და გამოააშკარავა ჩვენი ემიგრაციის ნამდვილი სახე და შინაარსი. თავისი უკანასკნელი გამოსვლებით მან ბურუსი გაჰფანტა და დღის სინათლეზე გამოიტანა სათითაოდ ყველა დაჯგუფების ზრახვანი და მისწრაფებანი.

მან უნებლიეთ ლიკვიდაცია მოუხდინა აგრეთვე იმ უმსგავსო ლეგენდას, რომელსაც გულმოდგინეთ ავრცელებდნენ ჩვენი მოძრაობის ბოროტი მტრები თეთრი გიორგის ეგრედწოდებულ „დაყოფის“ შესახებ.

დღეს ხომ უდავოა და ნათელი ყველასათვის, რომ თეთრი გიორგის რიგებში ვერ დაეტიენ სწორედ ისინი, ვინც ჟორდანიას ორიენტაციისა იყვნენ, თეთრ გიორგულ იდეებს ვერ ეზიარენ, ფაშისტური სული ვერ შეითვისეს და როგორც დავინახეთ, პირველ შემთხვევისთანავე, პირველნი და ყველაზე ადრე ჟორდანიასთან გაიქცენ.

რასაკვირველია, ჩვენ არ უარვყოფთ იმას, რომ ზოგიერთებს გულწრფელად სურდათ ანტიეროვნულ - მარქსისტულ ძალებისაგან გამიჯვნა და თანამედროვე ნაციონალისტურ მოძრაობაში ჩაბმა. მაგრამ სამწუხაროდ, მათ არ აღმოაჩნდათ საკმაო ძალა და ნებისყოფა, ვერ ეზიარენ მეოცე საუკუნის პატრიოტიზმის ცეცხლით ანთებულ სულს.

ჩვენ გვწამს აგრეთვე, რომ ბევრნი ნამდვილად მონდომებულნიც იყვნენ მარქსისტულ გავლენისაგან თავი დაეხსნათ და თანამედროვე ნაციონალიზმის გზას გაყოლოდენ, მაგრამ ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა, დამარცხდენ და მარქსიზმის წინაშე ისევ ქედი მოიხარეს. როგორც ავადმყოფობა - ყვავილი ადამიანის სახეზე სტოვებს თავის საშინელ ნიშანს, ისე მარქსიზმმა მათ სულს თავისი გამხრწნელი დაღი დაასვა, გონება და აზრი სამუდამოდ მოუწამლა.

ჩვენ არ ვიცით ხვალ კიდევ ვინ სად გადაქანდება, ვინ რომელ კარებს მიადგება, მაგრამ დღეს ყოველშემთხვევაში ერთი რამ უდავოა:

**თეთრი გიორგის გარდა ყველა ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაციები მარქსისტების ბანაკში მოექცნენ და ჟორდანიას მოკავშირენი გახდენ.**

თავის თავად ცხადია, რომ ჩვენ აქ ლაპარაკი გვაქვს **ქართულ** ორგანიზაციებზე და მხედველობაში არ ვღებულობთ ცნობილ „კავკაზ“-„კავკასიას“ ჯგუფს, როგორც არა ქართულ მოვლენას, რომელსაც, სხვათა შორის, არასოდეს არ უწარმოებია იდეური ბრძოლა მარქსიზმის წინააღმდეგ და არც შეუძლია აწარმოოს, რათგან მარქსიზმის მოპირდაპირე მსოფლიოხედვა და იდეოლოგია მას არ გააჩნია.

ამნაირად, როგორც ვხედავთ, მოხდა ძალთა შემდეგი განაწილება: ერთ მხარეზეა ბატონ ნოე ჟორდანიას მარქსიზმი ყველა მისი მოკავშირეებით, მეორეზე — ქართული ფაშიზმია, რომელსაც წარმოადგენს თეთრი გიორგის დარაზმულობა. სხვა ძალებს ჩვენ ვერ ვხედავთ, მარქსიზთან შეუღლებამ მათ დამოუკიდებელ არსებობას ბოლო მოუღო (ჩვენი საუბარი ეხება მხოლოდ პოლიტიკურ ორგანიზაციებს და არ გვავიწყდება, რომ მათ გარეშე არსებობენ ბევრი უპარტიო მამულიშვილები და ჩვენი საამაყო მხედრობაც, რომლებსაც საბედნიეროდ, არაფერი აქვთ საერთო ჟორდანიასთან და მის მარქსიზმთან).

**ეროვნული ბრძოლის ცენტრში ჩადგა თეთრი გიორგი თავისი მძლავრი იდეოლოგიით, მრთელი და კეთილშობილი სულით, თავისი შეურიგებელი მორალით. ამაყად დგას იგი ქართული შეგნების უმაღლეს მწვერვალზე, რომელსაც შუქმფენ ლამპრად ანათებს უკვდავი ლოზუნგი: საქართველო უწინარეს ყოვლისა.**

დასაწყისიდან მოდის ის სიმტკიცით მის მიერ არჩეულ წმიდა გზაზედ, რომლისთვის მას არასოდეს არ გადაუხვევია.

ჩვენი მოძრაობის უდიდესი მტრებიც ვერ მოსძებნიან ვერც ერთ შემთხვევას, ვერ გვიჩვენებენ ვერც ერთ მაგალითს, რომ საქართველოს ინტერესთა დაცვაში თეთრი გიორგის ოდესმე სისუსტე გამოეჩინოს, ან კომპრომისი დაეშვას.

თეთრი გიორგის იდეოლოგიაში, მის მუშაობაში, მის ნაწერებში ყველგან და ყოველთვის აღმოაჩენს ქართველი მამულიშვილი იმ გრძნობათა და მისწრაფებათა გამომჟღავნებას, რომლითაც უცხოვრია ქართველ ერს საუკუნეთა განმავლობაში და რომლითაც შეუქმნია მისი დიდებული ისტორია.

თავისი ისტორიული მახვილით ერთგულად გუშაგობს სამშობლოს დასაბამითგან მისი მთლიანობის და დიდების სიმბოლო, და არავის არ შეარჩენს მის ღალატს და შეურაცყოფას.

კ. სალია

## ჩემი მეორე პასუხი „კავკაზელებს“

არავითარი ნამდვილი და პირდაპირი პასუხი ჩემ წერილებზედ (იხ. „თ. გ.“ №№ 103, 104, 1938) „კავკასიელებისაგან“ არ მიმიღია! რაც მათ დასწერეს, საგანს სრულიადაც არ შეეხებოდა, არამედ იყო ზოგისაგან ან გინება, პროვოკატორად გამოცხადება ჩემი, ან სურვილი დამცირებისა, ან და, ბოლოს, მართლაც ბარბაროსული თავის მოკატუნება, თითქოს ვერ გაიგეს რა ვუთხარ, და ღმერთმა იცის რას მიპასუხებენ და რაზედ, სად უნდათ მომათავსონ და ვისთან, ვისა და რის დამცველად გამომიყვანონ!

უკანასკნელი ჯიშის მებრძოლი ჩემი ბ. შალვა ამირეჯიბია, რომელიც მართლაც იმ ხანის კაცის საჭურვლით მებრძვის, რომელი ხანაც ჩვენი წარსულისა მას ასე ძლიერად უყვარს. ე.ი. იმ ხერხითა და „ჭკუით“, რომელიც მას თავის დიდ ძალად მიაჩნია, ხოლო ჩემთვის არც ხერხია და არც ჭკუა. ვშიშობ, ცუდათ არ დაურჩეს ერთიცა და მეორეც, და ბოლოს იმასაც პირდაპირ მოვახსენებ, თუ რისთვის სჭირდება მას თავისი სულისაგან გამოწურვა ასეთ ძლიერ მდაბალი თვისების ძალთა.

ვალდებული ვარ ჯერ ამ „მებრძოლს“ გავსცე პასუხი, რათგანაც მისი წერილი „კავკასიის“ 1(20) ნომერში (იანვარი 1939წ.) შეიძლება უბრალო მკითხველს დიდი მართალი კაცის სიტყვად მოეჩვენოს, თუმცა, თუ რამეა ჩემთვის ამ ქვეყნად უსიამოვნო, სწორედ ასეთ კაცებთან სიტყვის-გება. ხოლო ჩემ შეურაცხმყოფელთ სხვანაირად ეკადრებათ სიტყვის მოჭრა.

1. ბ. შალვა ამირეჯიბი ამბობს: „მან (მ. წერეთელმა), ფაშისტმა, დაიცვა მარქსისტი ჟორდანია, რომელმაც საქართველოს მიწა-წყალი, უომრად [illegible]ის ჩუმად. ოსმალეთს [illegible] და ბრალი დასდო ზურაბ ავალიშვილს და საზოგადოდ მთელს ჩვენს წრეს, თითქოს „ნახევარ საქართველოზედ“ ხელს ვიღებდეთ და თანამედროვე ქართველობას „დიდ საქართველოს იდეალს“ უსპობდეთ. ბ. მ. წერეთელმა ეს სთქვა, მაგრამ არ დაგვისახელა წერილი, ავტორი, ან ჩვენი ჟურნალის ნომერი, სადაც, ვითომდა ეს ჩვენი აზრი ასე კოხტად იყოს ჩამოყალიბებულიო“. (ქართ. „კავკასია“ №1(20) 1939, გვ. 8). მაშ ციტატები ნებავს ბ. შ. ამირეჯიბს და ინებოს: „კავკაზ“-ის მე 6/42 №-ში (ივლისი, 1937) ბ-ნი ბამატი სწერდა: „ჩვენ **საბოლოოდ** და **დაუბრუნებლივ** ვცნობთ კავკასიის საზღვრებს, დადგენილს ყარსის ხელშეკრულობით 1921 წლისა“. „ჩვენ **უკატეგორიულესად** უარს ვაცხადებთ ყოველ აქტზედ და გამოსვლაზედ წარსულში, რომლებსაც შეეძლო და შეუძლია კიდევ მისცეს ჩვენ მეზობლებს საფუძველი იფიქრონ, რომ ჩვენ გვაქვს ცხადი ან იდუმალი მიზნები შესახებ მათდამი ახლა კუთვნილ ტერიტორიათა“ (გვ. 4). შემდეგ ბ-ნი ბამატი იქადის, „კავკაზის“ ჯგუფის მეტი არავინ არ სცნობს ოსმალეთთან კარგ განწყობილებას, რაიცა საფრთხეში აგდებს კავკასიის კონფედერაციის შესაძლებლობასო, უსაყვედურებს რასაკვირველია ქართველ მენშევიკებს თურქოფობობას და დასძენს: ჩვენი ჯგუფის გარდა არ არსებობს ემიგრაციაში არც ერთი სხვა, რომ არ სურდეს ეროვნული ტერიტორიის გაფართოვება ახლანდელი ოსმალეთის ხარჯზეო. აგრეთვე ბ. ბამატი ბრძანებს, რომ ბათუმი მისი წარმოდგენით არ არის იმდენად ნაკვეთი საქართველოს ტერიტორიისა, რამდენად

უმნიშვნელოვანესი პორტი, საზოგადო კავკასიის მნიშვნელობისა. ბათუმით, რომელიც გამოსავალია ბაქოს ნავთისათვის, ადერბეიჯანი ნაკლებად არ არის დაინტერესებული, ვიდრე საქართველო. ბათუმი ერთად ერთი პორტია აგრეთვე კავკასიის სომხეთისა და ბოლოს ბათუმისაკენ არიან მიზიდულნი დიდნი კუთხენი ყარსისა და არტაან-ართვინისა. და მომავალ ნაციონალურ (!) კავკასიას დასჭირდეია ალბათ შექმნას ოსმალეთთან ისეთი „ძოდუს ვივენდი", რომელიც მისცემს ამ კუთხეთ სავაჭრო გასავალს კავკასიის დიდი პორტისაკენ. მისი აზრით ეს იქნება კიდევ ზედმეტი და არა უმნიშვნელო რგოლი გადასაბმელი ჯაჭვისა სამხრეთის მეზობლებთან, რომელნიც მოწოდებულნი არიან კავკასიის კონფედერაციის კონსოლიდაციისათვის. (გვ. 5). — ეს იყო მართლაც პირველი „რგოლი" იმ „ჯაჭვისა", რომლითაც „კავკაზმა" საქართველოს შეკვრა დაუწყო. ხოლო იმის მაგივრად რომ „კავკაზის" ქართველ თანამშრომლებს თავითგანვე ალეკვეთათ თავიანთი პატრონისათვის მსგავს საგნებზედ წერა, როგორც დიდი პოლიტიკური უსაქციელობა, რომელიც რასაკვირველია ქართველთა შორის აღშფოთებას გამოიწვევდა და „კავკაზის" საქმეს ავნებდა, ან და, თუ არ დაუჯერებდნენ, თავი დაეხებებიათ „კავკაზისათვის", ბ-ნი ზურაბ ავალიშვილი სწერს სრულ დასაბუთებას ბ. ბამატის ნათქვამთა, ძალიან საინტერესოდ, როგორც მის მადლიან კალამს შეეფერება, ეხება საქართველოს დასავლეთ - აღმოსავლეთ ძველ კუთხეთა ბედს, მიაკუთვნებს მათ, რასაკვირველია, დღეს ძალაში მყოფი საერთაშორისო სამართლით ოსმალეთს და სხვ. (იხ. რუსული „კავკაზ" №7/43, ივლისი 1937: „კავკასიის ერები და ირრედენტიზმი"; №12/48, დეკემბერი 1937: „ზოგიერთ პოლემიკათა გამო"; №1/49, იანვარი, 1938: „სან-სტეფანოთგან ბათუმამდე").

საქართველოს ამ ნაწილის კუთვნილებას დღეს მომქმედი სამართლით უცხო სახელმწიფოსადმი ვერავინ უარ-ჰყოფდა და არც არავის უარ-უყვია, რათგანაც ასეთი „სამართლით" თვით მთელი საქართველო არ არსებობს დღეს, არც კავკასია. იგინი რუსეთს „ეკუთვნიან"! მაგრამ ბ. ზურაბი ბრძანებს: „ეს არის უმთავრესად ყოფილი ბათუმის ოლქი, ახლა ართვინის ვილაიეთი და რამოდენიმე „კაზა" ყარსისა და არზრუმის ვილაიეთებისა. ხანდახან ისმის ქართველთაგან ჩივილი, რომ აი, იკარგებიან ჭანეთში ქართველთა, განსაკუთრებით მეგრელთა მონათესავე ჭანებიო. მაგრამ პოლიტიკური მნიშვნელობა ამ წუხილს არა აქვს. ჭანეთი იყო საზოგადოდ, უნდა აღვიაროთ, გარეშე ქართული პოლიტიკისა და კულტურისა. 1914 წლის ომის წინ იქ მყოფმა იშვიათმა დამკვირვებელმა განსვენებულმა ნ. მარმა აღნიშნა, რომ პროცესი ჭანების ეროვნული გადაგვარებისა და გათურქებისა უკვე ძალიან შორს არის წასულიო. ჭანეთი ნამდვილად აროდეს მიუკუთვნებიათ სამუსულმანო საქართველოსათვის. მაგრამ ეს ნაკვეთიც ტრაპეზუნის სამეფოსი, ისე ახლო მყოფი საქართველოსთან, დარჩებოდა მასთან შეერთებული, რომ განხორციელებულიყო სევრის ხელშეკრულება 1920 წლისა და რომ სომხეთ - საქართველოს გამიჯვნისას, რაიცა მაშინ შესაძლებელი იყო, ჭანეთის სანჯაყი (ახლანდელი რიზეს ვილაიეთი) საქართველოს დარჩენოდა, რომ!... ცხადია, რომ ახლანდელ პირობებში საკითხი საზოგადოდ ისპობა. რაც შეეხება ოსმალეთის საქართველოს მტკვრის თავისა და ჭოროხისა, სადაც იმდენი ძეგლია ქართულ სიძველეთა, აქ ბევრი, ძალიან ბევრია სამუშაო ქართველი არქეოლოგისათვის, ისტორიკოსისათვის, ეთნოგრაფისათვის, მაგრამ ახლანდელ პირობებში იქ, მგონი, პოლიტიკოსებს არაფერი აქვთ გასაკეთებელი. განსაკუთრებული ნიადაგი ქართული ირრედენტიზმისათვის იქ არა სჩანს და ამ მიმდინარეობაზედ არა ისმის რა. მელანქოლიური შენიშვნები მოცლილ პუბლიცისტთა, საყვირის ხმა შემთხვევით პროგრამისა ანგარიშში არ არის ჩასაგდებიო". ბ-ნი ზურაბი საჭიროდ არა სთვლის ისტორიულ მოგონებებს. ქართველებს ბევრი აქვს ასეთი მოგონება, სომხებიც ძათ არ ჩამორჩებიან, და არც თურქებს დაკარგვიათ იგი, განსაკუთრებით ახლა გაუცხოველდათო. 1927 წლის აღწერით ქართულად მოლაპარაკენი იმ კუთხეებში სულ არ არიან აღნიშნულნიო. ცხადია, მცხოვრებნი სამშობლო ეხად თურქულს აჩვენებენ იმ ადგილებშიაც კი, სადაც თურქულთან ერთად ქართულადაც მეტყველებენო და სხვ. (№7/43, 1937, გვ. 11). ბატონი ზურაბი ახალგაზრდობას თავისებური ირონიით თემასაც აძლევს: „სხვა და სხვა „დაჯგუფებათა" ახალგაზრდანიო, ბრძანებს იგი, რომელთაც უნდათ აღადგინონ საქართველო თამარის სამეფოს საზღვრებში და რომელთაც აქვს დრო და საშუალება „საქართველოს ტერიტორიის შესახებ ბჭობათა" გამართვისა, „უფასო შესვლით" ყველა მსურველისათვის, უფრო კარგს იზამდენ, რომ საერთო ძალითა და ღონით შეადგინონ და გამოსცენ შრომა, ვთქვათ, ამ თემაზედ: სამუსულმანო საქართველო 1914 და შემდეგ წელთა ომის განმავლობაში და შემდეგ. მიმოხილვა პოლიტიკური, სამხედრო, სოციალური და დიპლომატიური. ასეთი შრომა ყველასათვის სასარგებლო იქმნებოდა და მათაც უძველიდა, რომ გამოერკვიათ, თუ რა არის საჭირო ხელსაყრელ საზღვართა გაყვანისათვისო". (№/48, 1937 წ. გვ. 14). და ამას ბ. ზურაბი ურჩევს ახალგაზრდობას, აღნიშნავს რა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა სამუსულმანო საქართველოს წარსულში, მაგრამ იქაურობა განადგურდა და შეიცვალა იქ ქართველი ადამიანიც, მისი რწმენა და აზრის მიმართულება, გაიბა კავშირი ამ კუთხესა და ოსმალეთს შუა და ყოველივე ამან გადაწყვიტა ამ კუთხეთა ბედი დიდი ომის დროს და შემდეგო. დასკვნა მისი ისეთია, რომ თუმცა უნდა არსებობდეს და არსებობს კიდეც მოგონება ამ კუთხის და საქართველოს ურთიერთისადმი კუთვნილებისა, მაგრამ ჩვენ მაინც კმაყოფილნი უნდა ვიყოთ მითაც, რაც ამ ძველი საქართველოთგან კიდევ დაგვრჩა ბოლშევიკების შემოსევის შემდეგ (იქვე გვ. 13—14).

ბოლოს ბ-ნი ზურაბი თითქოს ბ. ბამატის სიტყვებს აქარწყლებს ბათუმის შესახებ და იმედს გვაძლევს: „ქართველი ერის ისტორიის ავტორმა ალლენმა განაცხადა თავის მოხსენებაში ლონდონის ერთ სამეცნიერო საზოგადოების წინაშე 1928 წელს, რომ თურქები ხოფაში აშენებენ ნავთ-სადგურს ართვინისათვის, არტაანისათვის და თვით ყარსის კუთხისათვისო, ასე რომ თურქებს მაინც და მაინც ძალიან არა სჭირდებათ სავაჭრო გასავალი ართვინი-ბათუმიო (იქვე, გვ. 15). — და კიდევ ბევრი მსგავსი რამ დაიწერა და განმეორდა „კავკაზ"-ის ჯგუფის ჟურნალთა ფურცლებზედ, რამაც სამართლიანად აღელვა და აღაშფოთა ქართველობა და ბევრი სხვა კავკასიელიც, რომელსაც მართლა სწამს კავკასიის ერთა კონფედერაციის საჭიროება და ამგვარი წერა მავნებლად მიაჩნია თავისი პოლიტიკური ზრახვის განხორციელებისათვის.

შეიძლება უფრო „კოხტად" გამოხატვა ბრძანებათა და აზრთა? — საბოლოოდ და დაუბრუნებლივ ეს ნაწილი საქართველოსი ეკუთვნის ოსმალეთს! — უკატეგორიულესად აღვიკვეთთ ყოველ მიზანს შესახებ ამ ტერიტორიათა, რომელნიც ოსმალეთს უნდა ეკუთვნოდენ უკუნითი-უკუნისამდე! „კავკაზის" ჯგუფის გარდა კი ყველას ცხადი თუ იდუმალი ზრახვა აქვს ემიგრაციაში ოსმალეთის ხარჯზედ ეროვნული ტერიტორიის გაფართოვებისა. ბათუმი ყველას სჭირდება — ადერბეიჯანს, სომხეთს და ოსმალეთსაცო, იგი მარტო საქართველოს ნაკვეთი არ არისო! ამას ბრძანებს ბ-ნი ბამატი. და ვინ ეკითხება მას სხვის ტერიტორიების უკუნითი-უკუნისამდე გაცემას, ან რა „ექსუსია" აქვს ამ ბრძანებათა გაცემისათვის (თითქოს უკვე კავკასიის კონფედერაციის დიქტატორი იყოს!) ალარ ეჭვს იგი ლალი და უკადრი! ბათუმის თურქებისათვის უკან გადაცემის თქმა რომ ველარ გაბედა, იქნება „კორიდორს" მოითხოვს ოსმალეთითგან საქართველოს ტერიტორიაზედ, თვარა თუ კავკასიის კონფედერაცია შეიქმნა, ვინ დაუშლის თუმითგან ნავთის ან სხვა საქონელთა გატანას ან ადერბეიჯანს, ან სომხეთს? ბ-ნი ზურაბი კი გვეუბნება, ამ კუთხეებში წარსულის ნაშთებისა და მოგონების მეტი აღარაფერი დაგვრჩენია, ჭანებიც გადაგვარების გზაზედ დგანან, იქ არქეოლოგს, ისტორიკოსს და ეთნოგრაფს აქვს საქმე, ხოლო **პოლიტიკოსს ახლანდელ პირობებში არაფერიო!..** ირრედენტიზმს სხვაგანაც არა აქვს სიცხოველე და ქართველ მოცლილ პუბლიცისტთა ირრედენტიზმი და საყვირის ხმა შემთხვევით პროგრამათა რა ანგარიშში ჩასაგდებიაო! ახალგაზრდობას, რომელთაც თამარის საქართველოს აღდგენა სურთ, ურჩევნია ისწავლოს რამე ამ კუთხეთა შესახებ და ჭკუაზედ მოვაო! თურქების აღწერით იქ ქართველები სულ არ არიან, სადაც არიან, იქაც მათ ქართული არ აღიარეს სამშობლო ენადო! — ხოლო ბათუმის ჯავრი ნუ გაქვსთ, თურქები ინგლისელ ალენის ცნობით ხოფაში აშენებენ პორტსაო — თითქოს ხოფა საქართველოში არ იყოს! — ეს აზრებიც ძალიან „კოხტად" არ არის გამოხატული? და აი, ამ „კოხტა" ბრძანებათა და აზრთა მიხედვით ქართველმა ერმა მისი ქვეყნის მთელ სამხრეთ-დასავლეთ ნაწილზედ უნდა აიღოს ხელი ბ. ბამატის ბრძანებით უკუნითი უკუნისამდე, ხოლო ბ-ნი ზურაბის აზრით, მადლობა ღმერთს, **ახლანდელ პირობებში**, რაზედაც მას ბ. ბამატი რასაკვირველია არ დაეთანხმება. — და რა იქმნებოდა რომ თურქებს ბათუმიც დარჩენოდათ, ახალციხისა და ახალქალაქის კუთხეებიც, რომლებიც მართლაც ეჭირათ 1918 წელს? რას იტყოდენ ბ. ბამატი და ბ. ზურაბ ავალიშვილი დღეს? იმასვე, რასაც ამბობენ უკვე წაგლეჯილ კუთხეებზედ! ხოლო ფოთის პორტს სანუგეშოდ დაგვიტოვებდენ! მომქმედი სამართალი, თურქების მეგობრობის აუცილებლობა და წართმეულ კუთხეთა არა დიდი განსხვავებით იგივე მდგომარეობა მისცემდა მათ მიზეზს იგივე ეთქვათ, რასაც დღეს ამბობენ! ეს აუცილებლად! — და თურქებს თითქმის ნახევარი საქართველო დარჩებოდათ, სადაც მხოლოდ ჩვენ ისტორიკოსებს, არქეოლოგებს და ეთნოგრაფებს ექმნებოდათ საქმე, ხოლო პოლიტიკოსებს, ქართულ ირრედენტიზმს არავითარი, და აი ამიტომ ვეუბნებოდი „კავკაზის" ქართველთ და ვეტყვი დღესაც, რომ ზემოხსენებულის მსგავსის წერით **ნახევარ საქართველოზედ უარი უნდათ** განაცხადებინონ ქართველ ერს! ბ. შალვა ამირეჯიბი, თუ მან იცის მნიშვნელობა სიტყვის „პროვოკაციისა", უნდა მიხვდეს, რომ აი ამგვარი მათი ყოველ პასუხისმგებლობას მოკლებული წერა წლების განმავლობაში იყო, შეიძლება შეუგნებელი, მაგრამ ნამდვილი გამოწვევა ქართული პოლიტიკური აზრისა, შეურაცხება ქართველის ღირსებისა, და თუ ამან აუცილებელი საზიზღარი ნაყოფი გამოიღო, მხოლოდ თავის თავს დააბრალოს „კავკაზის" ჯგუფმა, სხვას ნურავის აბრალებს! და იცოდეს კავკასიის არა-მკითხე წინამძღოლმა, მისმა ქართველმა და არაქართველმა პალადინებმა და ყველამ, ვინც მათ თანაუგრძნობს და ეხმარება:

**მიუხედავად ძალაში მყოფი საერთაშორისო სამართლისა ყოველ მცირე კუთხესაც კი იმ ტერიტორიისა, რომელიც საქართველოს სხეულის ნაწილი იყო საუკუნეთა განმავლობაში, სადაც არის ნაშთი ქართული კულტურისა და მოსახლეობა ქართული სისხლისა (ქართულად თუ ჭანურად მეტყველი), ქართველი ერი თავის საკუთრებად ყოველთვის სთვლიდა და დღესაც სთვლის! როგორიც არ უნდა იყოს „აზრთა მიმართულება" ამ მოსახლეობისა და რა პასუხიც არ უნდა მივიღოთ მისგან მრავალი პლებისციტის შემდეგაც კი, რა გვარადაც არ უნდა ჰქონდეს საქართველოს ამ ნაწილში ქართულ ირრედენტიზმს ნიადაგი გამოცლილი, ქართველი ერი მას მაინც თავის სამკვიდრებლად ყოველთვის სთვლიდა და დღესაც სთვლის, და მისგან მიმძლავრებით წაგლეჯილი, განადგურებული და გადაგვარებული ნაწილის დაბრუნება, აღდგენა, გამრთელება და მოშენება საქართველოს უკვდავი პოლიტიკური იდეალია და მომავლის საქმეც მისი! უკვდავია იგი, რაიცა ცხოვლად ახლაც გამოჩნდა, და იარსებებს მარადის, და მის უარ-მყოფელთ, შეურაცმხყოფელთ და წამბილწველთ ისეთივე მკაცრი პასუხი მიეცემა ყოველთვის ყოველი ქართველისაგან, რომელსაც ეროვნული აზრი, გრძნობა და სიამაყე აქვს, როგორიც ახლა მიეცა! საქართველო თურქების მიერ თავის ნაწილთა დაპყრობას, განადგურებასა და გადაგვარებას ვერ დააკანონებს! მათთვის საუკუნეთა განმავლობაში იბრძოდა ქართველი ერი, იგინი ჟამთა განმავლობაში ხან მის ხელში იყო, ხან მტრისა, და თუ დღეს სხვისი საკუთრებაა მძლავრობით, ქართველი ერი ამ ხანასაც გარდამავლადა სთვლის და იმედი აქვს, რომ ბედი და მართალი სამართალი თავის საკუთრებას მასვე დაუბრუნებს. დაბრუნება ერის მიერ თავისი კანონიერი საკუთრებისა, რომელიც მისი სასიცოცხლო საჭიროებაა, დათრგუნვაა უმართლო სამართლისა, დაპყრობის უფლებისა. ერთა უმკაცრესი ბრძოლა ძალით წართმეულ უფლებათა და საკუთრებათა დასაბრუნებლად დღეს ჩვენ თვალ-წინ სწარმოებს, და ქართველ ერსაც ვერავინ დაუშლის თავისი სახელმწიფოს აღდგენისათვის ბრძოლას მის ეროვნულ - ისტორიულ საზღვრებში, ვერც თურქებისა და ვერც რუს ბოლშევიკების წინააღმდეგ!**

და ქართველობაც სამუსულმანო საქართველოში არც ისე მოსპობილი იყო, როგორც ამას ბ. ზურაბი ბრძანებს და არც ემიგრაციის ახალგაზრდობაა ისე უვიცი, რომ ეს არ იცოდეს. ესეც უსამართლოდ ჰგონია ბ-ნ ზურაბს. რა უქმნა ქართველობას ოსმალეთის მთავრობამ საქართველოს ნაწილთა შეერთების შემდეგ 1921 წლითგან, არ ვიცით, მაგრამ თუ იქ თურქები დაასახლა და ქართველობა ანატოლიაში გაჰფანტა, როგორც ხშირად გვსმენია, იცოდეს რომ დადგება დრო და დაუპატიჟებელ სტუმართ ეტყვიან: როგორც მოხველ სვინაო, ისე წახვალ შინაო!

ხოლო რით უპასუხეს „გათურქებულმა" ჭანებმა თურქის მთავრობას, როდესაც მათ აყრა მოუნდომეს მამა-პაპათა სამშობლოთგან, ეს კი ძალიან კარგად ვიცით და ჭანები დღეს იქვე არიან, სადაც ათასი წლობით სცხოვრობდენ...

ეს არის ჩვენი „საყვირის" პასუხი ბ. ბამატის „საყვირის ხმაზედ" მართლაც რომ „შემთხვევითი პროგრამისა"! და ისეთი და იმდენი „მოცლილი" და გადარეული და რეგვენი „პუბლიცისტი", რამდენიც ქართულ „კავკასიასა" ჰყავს (სხვები თავიანთ საქმეს აკეთებენ!), ჯერ არც ერთ ქართულ ჟურნალს არ ჰყოლია ემიგრაციაში! მარტო ერთი ემუხვარი რად ღირს! უაზრო ირრედენტიზმი? „მელანქოლიური შენიშვნები"? გავკადნიერდები და მოვახსენებ ბ. ზურაბს, რომ ირრედენტიზმის ძალას, რომელიც მას მოსპობილი ჰგონია, დღეს უმკაცრესად გრძნობენ და შემდეგ უფრო მწვავედ იგრძნობენ მოძალადენი! „უმელანქოლიოდ" კი არასოდეს გაკეთებულა არც ერთი საქმე, არც „უსაყვიროდ", ხოლო „კავკაზ"-ში საუბედუროდ „მელანქოლიის" მაგიერ ცინიზმი იყო ბევრი და „საყვირის ხმაც" ფრიად უშვერი და არა საკადრისი მათთვის, ვისაც „კავკაზის" საყვირზედ ხმლის ქნევა არა ჰშვენის!

მ. წერეთელი

(დასასრული იქნება)

# „ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან"!

ამ წერილის მიზანი სრულებით არ არის საქართველოს საზღვრების საკითხის გარჩევა, ან მის ტერიტორიალურ მოთხოვნილებათა აღძვრა. ეს ისეთი რამ არის, რასაც ჩვენ, თეთრი გიორგელები, დავის საკითხად ან გაზეთში საწერ საგნად ვერ გადავაქცევთ.

საქართველო ჩვენი თაობისათვის რაიმე განყენებულ ცნებას კი არ წარმოადგენს, ის განუყოფელი საფლავია ჩვენ წინაპართა, რომელზედაც თვით ფეხის დაბიჯებაც კი ცოდვად გვიჩნს. ის ჩვენი სისხლი და ხორცია და ნურავის უკვირს, თუ მისი მოჭრილი ნაწილებიც ჩვენში სულიერ და ხორციელ ტკივილებს იწვევს!

ჩვენი ტერიტორიის საკითხი ჩვენ არ დაგვიყენებია. ამ საკითხს ქართველი ერი მაშინ დააყენებს მხოლოდ, როდესაც მისი გადაწყვეტის შემთხვევა, საშუალება და ღონე მიეცემა! მანამდე კი ამ საკითხის აღძვრა ჟურნალ „კავკასიას" მიერ არის ერთი მხრივ უტაქტობა, მეორე მხრივ შეუგნებლობა. ქართველი ერიც თვის საზღვრების საკითხს მუდამ ორნაირი საშუალებით სჭრიდა და გადასჭრის, ან ენით, დიპლომატიური გზით, ან იარაღით. ასე იყო წინად, ასევე იქნება მომავალში. მას თავის მეზობლებთან თავის საზღვრების გამომაკლერები არ დასჭირებია და თუ მომავალში მას აღარც ენამ გაუჭრა და აღარც ხმალმა, ის სხვა საშუალებათ გამოსძებნის, მაგრამ დედის სხეულით ვაჭრობას არ დაიწყებს. კამათი კი დღეს ჟურნალ „კავკასია"სთან შესახებ იმისა, თუ ვის ეკუთვნის და ვის უნდა ეკუთვნოდეს ის, რაც ისტორიულად, ეროვნულად და ეთნოგრაფიულად მუდამ ჩვენ საკუთრებას წარმოადგენდა, ისეთივე უადგილოა, როგორც კამათი ამავე ჟურნალის კალმოსნებთან იმის შესახებ, დადის თუ არა ქვა, ან ხე, ანდა არსებობს თუ არა „პლანეტარული ციფრები".

ჟურნალი „კავკასია"ს უკანასკნელი ორი ნომერი ფრიად განირჩევა დანარჩენ მის ნომრებისაგან და შეიძლება ამით მაინც იყვეს ყურადღების ღირსი. ყოველ დამპალ საგანს სოკოები უჩნდება და გასაგებია, რომ დიდ სოკოებს პატარებიც ამოჰყვებიან ხოლმე. „კავკასია"ს გარშემოც ბევრი პატარა სოკო ამოვიდა უკვე, მაგრამ რით უნდა ეცნოს საზოგადოებას ჯერ მათი არსებობა და მერე მათი „კავკასიაზე" გამობმა. ამისათვის სწორედ ხელსაყრელ დროს იბეჭდება ბ-ნი მ. წერეთლის წერილი „თეთრი გიორგი"ს ფურცლებზედ. საქმიანი მიდგომა საკითხისადმი და საკუთარი აზრი კავკასიაზედ, რაიცა ყოველი სერიოზული ჟურნალისაგან და გონიერი მწერლისაგან ასეთსავე საქმიან კრიტიკას უნდა მოელოდეს, ან სრულს სიჩუმეს. მაგრამ არა! ეს საბაბს აძლევს პატარა ცხოველებს ფეხი გაიშვირონ და სთქვან: „ჩვენც ნახირ ნახირაო"! რა ითქვა, რა დაიწერა, მე ამით მკითხველს ყურებს არ გამოვუჭედავ. ვიტყვი მხოლოდ, რომ იმ საშინელი ჭყვირილის დროს, რომელსაც შემდეგ სასომიხდილი სიჩუმე მოჰყვა, მოხდა თითქოს სხვებისათვის შეუმჩნევლად, მაგრამ ჟურნალ „კავკასიისათვის" ჩვეულებრივი ცერემონიით წინადაცვეთა „ნოვობრანცების", რასაც „კავკასია" ინტელექტუალურ ზრდას უწოდებს!

თუ რა საბუთიანი კრიტიკით უდგება ჟურნალი „კავკასია" ბ-ნ მ. წერეთლის და სხვათა წერილებს, ეს მკითხველმა თვით უწყის. ნათქვამია: „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდებისო". მაგრამ საინტერესო აქ ერთი ორიგინალური სირეგვნეა, რომელიც არც თუ ისე „ორიგინალურია" როგორც „კავკასიას" ჯგუფსა ჰგონია! თურმე ვინც მათ აზრს არ იზიარებს და მათ მოთხოვნილებათ კვერს არ უკრავს, ის სოციალ დემოკრატებს იცავს! შეიძლება თვით „კავკასიას" უაზრობამ მისცა სოციალ დემოკრატიულ პრესას საშუალება გამოეთქვა თავისი აზრი საქართველოს მთლიანობის შესახებ. მათთვის ამის დაშლის, უფლება არავისა აქვს, მიუხედავად იმისა რომ მათ თავიანთი დამღუპველი პოლიტიკის წყალობით დაუკარგეს ქართველ ხალხს ის, რისთვისაც დღეს გვიხდება ბრძოლა. სოციალ დემოკრატიულ და საერთოდ მარქსისტულ იდეოლოგიასთან იდეური ბრძოლა „თეთრმა გიორგიმ" დაიწყო ამ თუთხმეტი წლის წინად, დღიდან თავისი ჩასახვისა, ვამბობ იდეური ბრძოლა, რათგან ჩვენ ერთობ ვართ დაშორებულნი იმ ხელობით ბრძოლას, რომელიც ამ იდეოლოგიის მატარებელთათვის და ჟურნალ „კავკასიას" წრისათვის მისაღება არის. სოციალ დემოკრატიულ პარტიას, [illegible] როდესაც ძლიერი იყო, ბედნიერება ჰქონდა მოესმინა ის, რაც დაიმსახურა და რისი ღირსიც იყო. „თეთრმა გიორგიმ" სთქვა ის, რაც სათქმელი იყო, არც მეტი არც ნაკლები! ჩვენ დავიწყეთ ეს ბრძოლა სოციალ დემოკრატიულ პარტიასთან მაშინ, როდესაც უმეტესი ნაწილი დღეს ჟურნალ „კავკასიას" თანამშრომლებისა, სწორედ ამ პარტიის წიაღში ან მის საერთო ფრონტში ბრძანდებოდა. მაშინ ისინი არა თუ ასეთი იდეური ბრძოლის მომხრენი არ იყვნენ, შეუძლებლად მიაჩნდათ და ბევრი სასტიკი წინააღმდეგიც კი იყო ამისა. ის რაც ჩვენთვის აუცილებლობას წარმოადგენდა, მათთვის მიუღებელი იყო, ალბათ „რეალური პოლიტიკა" მაშინ ამას მოითხოვდა! დღეს კი განმეორება იმისა და ისიც უშნოდ და მჩატედ, რაც „თეთ. გიორგიმ" ამ წელთა მანძილზე უკვე სთქვა, ჟურნალ „კავკასიას" საამაყო საქმედ მიაჩნია და მათი გონებრივი დაბეჩავება კი იქამდი მიდის, რომ სწორედ ბ. მიხ. წერეთელს, თავიდანვე მოწინააღმდეგეს მარქსიზმისა და სოც. დემოკრატიისა, „თეთრი გიორგის" უხუცეს წევრს, აბრალებენ მარქსისტების დაცვას, მაშინ როდესაც ამ ბრძოლის დროს თვით იყვნენ მარქსისტების ბანაკში და ყოველივე შეტევას ამ მარქსისტებზედ თვითვე იგერიებდნენ! მაგრამ რაღაც წესად გადაიქცა, რომ ათეული წლების განმავლობაში სოციალ დემოკრატიულ პარტიაში ნამყოფი და კომუნისტურ პარტიაში ნაგდები ემუხვარივით ხალხი, დღეს ანებებს თავს ამ პოლიტიკურ მიმართულებათ, ზოგი შიშით, ზოგი ალბათ „რეალური პოლიტიკის" კარნახით, და მათი სილაღე იქამდის მიდის, რომ ეროვნული იდეებისათვის ალად ქცეულ მამულიშვილებს მენშევიზმის დაცვას სწამებენ!

„კავკასიას" №20 სავსეა მის თანამშრომელთა ურთიერთი ხოტბით, რომელსაც სიამელი ტყუპის ცალივით თან ახლავს ლანძღვა და ცილისწამება მათი, ვინც ამ ჟურნალის აზრს არ იზიარებს. ბ-ნი შ. ამირეჯიბი ერთობ მოწადინებულია დაკარგული პოზიციები დაიბრუნოს და მთელი მათი ჯგუფი, ნამეტნავად ბ. ზურაბ ავალიშვილი იმ სიმაღლემდე აიყვანოს, რომელზედაც ის იყო ჟურნალ „კავკაზ"-ში თანამშრომლობამდე. მაგრამ რატომ დასჭირდა ბ. ამირეჯიბს ბ. ზ. ავალიშვილის რეკლამა გაზეთში და ისიც ჟურ. „კავკასია"-ში?!

არავის არ შეჰპარვია ეჭვი, რომ ჩამოთვლილი წიგნები და შრომები სწორედ ბ. ავალიშვილის კალამს ეკუთვნის. ჩვენ ძალიან დაშორებულნი ვართ იმ აზრს, რომ ეს ნაწერები „კავკასია"ს სხვა რომელიმე თანამშრომელს მივაწეროთ — ზ. ავალიშვილის ფსევდონიმით, და ქართველი საზოგადოების აღელვებაც ყველაზედ უფრო სწორედ ამან გამოიწვია, თორემ აბა რამდენი სულელია და სწერს „კავკასია"-ში და მერე ყურს ვინ უგდებს?

ბ-ნმა ამირეჯიბმა შვილდი ისე მაგრად მოჰზიდა, რომ ისარი ფერხთ დაუვარდა: მისი უცნაური და უადგილო შედარება ზ. ავალიშვილისა და მ. წერეთლისა პირდაპირ საზიზღარ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზედ და, დარწმუნებულნი ვართ, უსაზიზღრესი თვით ზ. ავალიშვილზედ მოახდინა! ბ. შ. ამირეჯიბს, რასაკვირველია, შეიძლება ყველაფერზედ თავის საკუთარი აზრი ჰქონდეს, მაგრამ აზრის ქონება სხვაა და დაუფიქრებელი წერა კიდევ სხვა. და ბოლოს, ეროვნული მოღვაწეების შეფასება ისტორიკოსის საქმეა, მეცნიერული ნაშრომების კრიტიკა მეცნიერისა და ჟურ. „კავკასია" ამისათვის ფრიად შეუფერებელი ტრიბუნალია, მისი თანამშრომლები კი ფრიად სუსტნი ბჭენი, რომ ასეთი რამ დაივალონ! და თუ ამას სჩადიან, მაშინ ჩვენც უნებურად უნდა შევეხოთ აქ ბ. ზ. ავალიშვილის ზოგიერთ წიგნს, რომელიც ბ. ამირეჯიბმა მაგალითისათვის მოიყვანა და რომელიც სჯობდა არ ეხსენებია!

შოთა რუსთველმა ქართველ ერს ისეთი განძი დაუტოვა, რომლის ბადალი მსოფლიოში ბევრი არ მოიპოვება. „ვეფხის ტყაოსანი" ის სულიერი წყაროა, რომლითაც საუკუნეების განმავლობაში ქართველი ერი საზრდოობდა და რომელსაც უამრავი თაობა დაუზრდია და დაზრდის მომავალში. ეს იყო და იქნება ის უდიდესი ძეგლი ქართული კულტურისა, ურომლისოდაც ოქროს ხანის ბრწყინვალება წარმოუდგენელია. მისი ორი გმირი უკვდავი რაინდებია ქართველი ერისათვის, მქონენი იმ თვისებათა, რომელთაც ჩვენ საუკუნეების განმავლობაში ასე სათუთად ვუვლიდით. ვუვლიდით ამ გმირთა წიგნს, რომ ის მართლაც „ობოლი მარგალიტივით" გადასცემოდა თაობიდან თაობას. ტარიელი და ავთანდილი სრული განსახიერებაა იმ იდეალისა, რომლისკენაც ყოველი ქართველი მიილტვის: ბრძოლაში, მიჯნურობაში, მეგობრობაში, გულუხვობაში და რაინდობაში. თავის წიგნში ბ. ავალიშვილმა ეს ორი გმირი მათი მწვერვალიდან ჩამოიყვანა და მამალთ-მავალთა რიგებში ჩარიცხა! და კიდევ მეტი: იმდენად ვნებიან ავადმყოფებად მონათლა, რომ მათთვის მანძილი და დრო ხომ აღარაფერია და მიჯნურებსაც კი სტოვებენ წლობის განმავლობაში, რომ ერთმანეთის ქვენა გრძნობები დააკმაყოფილონ!

ვთქვათ რომ ბ. ზ. ავალიშვილი შეცდა, გმირთა წესია ლმობიერება, და თვით ასეთი შეცდომაც ქართველმა საზოგადოებამ დაივიწყა. მაგრამ რაღად დასჭირდა ბ. ამირეჯიბს ამ კითხვის კვლავ წამოყენება? არის ეს ლიტერატურული ავანტურიზმი თუ უგუნური, შეუგნებელი თავდასხმა ყოველივე ეროვნულზე, ყოველივე უსპეტაკესზე, რაც ჩვენ კიდევ შეგვრჩენია? ან სად ჰხედავს აქ ბ. ამირეჯიბი წარსულის ცოდნასა და ქართული სულის ღრმა გაგებას?!

ან ეს არ გახლავს ქართული სული, ან შოთამ თვით არ იცოდა, რა იყო ქართული სული, ან ქართველმა ერმა ველარ გაიგო რვა საუკუნის განმავლობაში, თუ ვინ გაიხადა სათაყვანო გმირებად: უსპეტაკესი რაინდები თუ უსნეულესი მამალთ-მავლები!

ბ. ზ. ავალიშვილის ეროვნულ აქტივიდან ბ. ამირეჯიბი ასახელებს აგრეთვე მეორე წიგნს, გამოსულს რუსულ ენაზე: „საქართველოს დამოუკიდებლობა საერთაშორისო პოლიტიკაში", რომელიც მას დიდ ეროვნულ განძად მიაჩნია. ჩვენის აზრით ქართველი პატრიოტი რუსულ ენაზედ იმ დროს ასეთ წიგნს არ დასწერდა, და მართლაც, როგორ

ხსნის ბ-ნი შ. ამირეჯიბი იმ ფაქტს, რომ ეს წიგნი მოსკოვის განკარგულებით იქნა გადათარგმნილი ქართულ ენაზე და კომუნისტების მიერ უხვად გავრცელებული? განა შესაძლებელია და წარმოსადგენი, რომ ნამდვილი ქართული ეროვნული შინაარსის პოლიტიკური შრომა მოსკოვმა მოიწონოს?

ყველა ამას რომ თავი დავანებოთ, ბოლოს იმდენი ზრდილობა უნდა ჰქონდეს ბ. შ. ამირეჯიბს, რომ, თუ ბ. მიხ. წერეთლის პატივისცემა არა აქვს, თვით ბ. ზ. ავალიშვილი მაინც დაიხდოს და ვერძად არ გახადოს სხვის დასაჯახებლად!...

„კავკასია" ერთობ თავგამოდებულია, რომ თავის არსებობის პოლიტიკური აუცილებლობა და ეროვნული მისია დაამტკიცოს! „ააგეთ მთაზე წისქვილი თუ წყალმა ააქანოს"ო! ბ. ემუხვარის აზრით ალარავისა აქვს უფლება სწეროს საქართველოს უფლებაზედ და თვით აღელვებაც კი ქართული ეროვნული აზრისა მისთვის გაუგებარია: ჩვენთვის ყველაფერი მისაღები უნდა იყვეს, რასაც „კავკასია" ჰქადაგებს იმიტომ, რომ ეს გახლავს თურმე „რეალური პოლიტიკა", „პოზიტიური სამართალი"... აქ სიტყვა ეკუთვნის მხოლოდ „კავკასიას", ბ. ავალიშვილის სპეციალობას და ბ. ემუხვარის ფოტოგრაფიულ სურათებს, მის იარაღს, რომელსაც არ ჰყრის! სხვებმა უნდა ვისმინოთ მხოლოდ და ვინც ხმას ამოიღებს, ის პროვოკატორია! თურმე ბ. მ. წერეთლის წერილებია დამნაშავე, რომ „კავკასიას" თანამშრომლებს ხელით შეეხენ! „საქმეს წაახდენს რეგვენი, ფათერაკს დააბრალებსო"!

„უნახავმა რა ნახა"ო ისე მოსდის ბ. ემუხვარს, რომელსაც მსჯელობის უნარიც კი დაუკარგეს იმ სურათებმა, რომლებიც მისთვის ერთა ლიგის მდივანს გამოუგზავნია (მისივე თხოვნით!).

ერთ ხელშეკრულებას მეორე სცვლის, ეს ბ. ემუხვარმა უნდა იცოდეს, წინაალმდეგ შემთხვევაში ალარავითარი ხელშეკრულება არასოდეს აღარ დაიდებოდა. ერთი ხელშეკრულება იცვლება მეორით, იცვლება ერების დამოკიდებულება, იცვლება თვით ერის პოლიტიკური მდგომარეობა და, ბოლოს, იზრდება სხვა თაობა, რომელიც გარდასული თაობის მიერ ძალით თუ ნებით, თანხმობით თუ იძულებით დადებულ ხელშეკრულებას აღარ სცნობს!

ხელშეკრულებას სდებს ორი სახელმწიფო და მას იცავს მანამდე, სანამ ორივე ერის კეთილდღეობა ამას მოითხოვს. ასეთია დღეს ყოველი ხელშეკრულება დადებული იტალია - გერმანიას შორის ანუ საფრანგეთ - ინგლისს შორის. ანდა არსებული ხელშეკრულება განსაკუთრებულ პოლიტიკურ მდგომარეობის დროს საჭიროებს განახლებას. ასეთია ვერსალის და ტრიანონის ხელშეკრულებანი. „კავკასიას" ლოღიკით რომ ვიაროთ, ჩვენ არა თუ მადლობელი უნდა ვიყვეთ, არამედ უნდა გვიკვირდეს კიდეც, თუ ოსმალეთმა ბათომი არ მოგვთხოვა, ან არაბებმა ტფილისი და სპარსეთმა კახეთი. დავის დროს ხელშეკრულებათა ფოტოგრაფიულ სურათებს მხოლოდ ემუხვარის ჯიშის იურისტებისათვისა აქვს მნიშვნელობა. და ემუხვარის სამართლით დავით აღმაშენებელი რომ ცოცხალი იყვეს საერთაშორისო სამართლის კოდექსებით უნდა გასამართლდეს, იმიტომ რომ მირონცხებულმა მეფემ მამა მისის დროს დადებული ხელშეკრულება დაარღვია და თურქების სასარგებლოდ ხარკის გადახდაზე უარი განაცხადა!

და ბოლოს ორიოდე სიტყვა კავკასიის არა-მკითხე წინამძღოლის გასაგონად: ქართველ ერს თავის სახელმწიფოს აღდგენაში და მართვაში არც გზადაბნეული თანამემამულეები ეჭირვება და არც სხვა არამკითხე. ჩვენ ბრძოლის ტრადიციებიცა გვაქვს, საზღვრების დაცვასაც და მტერთან თუ მეზობლებთან ურთიერთობასაც შევსძლებთ. და თუ სად გავიყვანთ ჩვენს საზღვარს, ამას გადავსწყვეტთ ჩვენ, ქართველები, და არა ვინმე სხვა. თუ როდის სჯობია ხმალი ენას, ან ენა ხმალს, ამას ჩვენ ვერავინ გვასწავლის! თანამედროვე ქართველთა თაობა არავის მისცემს უფლებას სავაჭრო საგნად გახადოს ის, რაც წმიდათა წმიდად მიაჩნია!

რაც შეეხება სხვა „კავკაზელებს", დაე სწერონ რაც სურსთ, ლანძღონ ვინც სურსთ, ამით ვის რა დააკლდება! ზოგის დანიშნულებაც ხომ ის არის, რომ ნეხვი უნდა აგუნდაოს!

ა. გომართელი

ბერლინი.

## ქვედა ადამიანები ქართულ ემიგრაციაში

კაცობრიობის ცხოვრებაში ბუნებამ დასაწყისიდანვე განსაკუთრებული მიზეზების გამო სხვა და სხვა სპეციფიური განვითარება და ამით ხშირი ცვლილება გამოიწვია. იქმნებოდენ ახალი რასები, რომლებიც თავის კულტურას ჰქმნიდენ. სხვა რასები კი იღუპებოდენ. ხდებოდა ამავე დროს შერევა, რომელიც შედეგი იყო ხალხთა დიდ მოძრაობისა. იგი სრულდებოდა სასტიკი ბიოლოგიური კანონით. ასე შეიქმნა სხვა და სხვა ხალხი, პატრონი სხვა და სხვა სისხლისა, სხვა და სხვა კულტურისა და სხვა და სხვა სოციალურ-სახელმწიფოებრივი წესწყობილებისა. რასა, კულტურა, ერი და მისი სოციალ - სახელმწიფოებრივი აგებულობანი იყვნენ განსაზღვრულნი მემკვიდრეობით და გეოგრაფიული მდებარეობით, რომელიც სისხლზედ განსაკუთრებული რეაქციით მოქმედობს.

ამავე კანონებით შეიქმნა ჩვენი ჯიში. ძველი ქართული ჯიში მართლაც რომ დაჯილდოვებული იყო მაღალ ხარისხოვანი თვისებებით. მისი კეთილშობილება გამოიხატებოდა განსაკუთრებით მის მიერ შექმნილ კულტურაში, მის აზროვნებაში და მის მსოფლმხედველობაში. ჩვენი წინაპრების დახასიათება ორიოდე სიტყვით შეიძლება: გარეგნულად კეთილშობილი აგებულობისა, ნამდვილი შედეგი თავისი მიწისა და სისხლისა, ღირსებით ალსავსე, მხედრული შეგნებისა და ნიჭის მქონე და ამიტომ რაინდი მეომარი, ოჯახის ტრადიციის და ჯიშის სახელმწიფო საფუძვლად შემქმნელი ქართველი თავისი მიწის დიდი სიყვარულით, ერთგულობით და რწმენით იცავდა საუკუნეთა განმავლობაში მის სამკვიდრებელს და სისხლს. საქართველოს მაინცა და მაინც არა იდეალურმა გეოგრაფიულმა მდგომარეობამ დაუპირდაპირა ქართველობა ბევრ ისეთ უცხო ელემენტს, რომელიც სხვა ჯიშისა, სხვა კულტურისა და სხვა მიწის შვილი იყო. აქ არა მარტო ტერიტორიისათვის სწარმოებდა ბრძოლა, არამედ ორი სულ სხვა და სხვა ჯიში ეწინაალმდეგებოდა ერთი მეორეს.

ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ ამ საუკუნეებით წარმოებულ ბრძოლაში მაღალი ღირსების რაინდი მხედარი უკვე ახალგაზრდობაში ეწირება თავის მიწას და სისხლს. ამით ხდებოდა ნეგატიური შერჩევა, კეთილშობილი ქართული ჯიშის გამრავლება კი საუბედუროდ სწყდებოდა. შედეგი ამ მოვლენისა იყო საქართველოს მრავალჯერ დაპყრობის შემდეგ უცხო სისხლის ჩვენში შემოტანა. ამით იწყება ჩვენი სისხლის შერყვნა, მისი ღირსების დაქვეითება და ამიტომ ჩვენი კულტურის განვითარების შეჩერება, სახელმწიფო ცხოვრების დარღვევა და გადამეტებული გავლენა და ჩვენგანაც პატივისცემა ყოველივე უცხოსი. საბედნიეროდ ბიოლოგიურად იმდენად ძლიერი იყო ქართველი ხალხი, რომ ამ მდაბალ ხარისხოვან შერეულ ელემენტს, რომელიც, მადლობა ღმერთს, არც ისე ძლიერად არის შემოჭრილი ჩვენში, მან დასძლია და მისი სისხლის თავისებურობა კიდევ შეინარჩუნა. მაგრამ ეს მდაბალ ხარისხოვანი პატარა ნაწილი მაინც დარჩა და მრავლდება. სანამდის სახელმწიფო ძლიერია და ერს ნორმალური ცხოვრება აქვს, მდაბალი ჯიშის ელემენტი არა სჩანს, მაგრამ იგი არ ისვენებს და აწარმოებს ქვედა ადამიანთა მოქმედებას, რომელიც არა მარტო სახელმწიფოს, არამედ ერის მთელი კეთილშობილი ნაწილის განადგურებას ჰლამობს, რათგან იგი მაღალ ხარისხოვანი სისხლის წინაშე ძრწის და მისადმი შურით და სიძულვილით არის ალსავსე. სულიერად მუდამ სიბნელეში მცხოვრები მაინც მუდამ მოუსვენარია ქვედა ადამიანი. მხდალი, უღირსი, გარეგნულად ძალიან ხშირად უშნო, უნიჭო, მაგრამ უაღრესად ეშმაკი, შვენიერების და სხვისაგან შექმნილი მაღალი კულტურის დაუძინებელი მტერი, დისციპლინის და სახელმწიფო წესრიგის უარმყოფელი, გარყვნილების, როგორც სულის ისე ხორცისა, მქადაგებელი, რაინდობის მოძულე და ლაქიობის მოყვარული, მატერიის თაყვანისმცემელი, ხარბი და გაუმაძღარი, გაიძვერა, ყალბი და დაბადებით მოღალატე ქვედაადამიანი, მსახიობის ნეგატიური ნიჭით დაჯილდოვებული, მუდამ მდაბალი რევოლუციის მზადებაშია. ყოველგვარი საშუალება მისთვის მისაღებია, მხოლოდ კი მიაღწიოს მის მიზანს. უმდაბლესი ინსტინქტის პატრონი იგი ხრწნის და არღვევს არა მარტო სახელმწიფოს, არამედ მაღალ ჯიშსაც და ოჯახურ წესწყობილებასაც, რათგან მას მხოლოდ მაშინ შეუძლია ზემოდ ამოიტივტივოს და იბატონოს. გაბატონდება თუ არა, მაშინვე გამოაჩნდება ამ თითქოს თავმდაბალ ქვედაადამიანს ის საშინელი სატანური სახე, რომელიც უკვე დიდი ხანია რაც მთელ ქვეყანას სისხლის მორევში ახრჩობს. უკვე ძალის მქონე იგი სადისტი ხდება. თავხედი, ამპარტავანი, ცინიკი და უზნეო იგი უსირცხვილოდ ფარფაშობს, და ამ ფარფაშით და ძალით გალაღებული ყველაფერს სპობს, რასაც კი მაღალი ღირსების სისხლის პატრონი კულტურას და შვენიერებას უწოდებს. წინამბრძოლნი მარქსიზმისა და მისი უკიდურესი გამოხატულების, ბოლშევიზმისა, ეს ქვედა ადამიანები ბრძანდებიან. მოვიგონოთ, თუ ვინ თარეშობდა და დღესაც ვინ თარეშობს საქართველოში, მერე გადავხედოთ ჩვენ ევროპაში მყოფ ქართველ ემიგრაციას და დავინახავთ იმ ტრაგიკულ, სავალალო მოვლენას, რომელიც ბედმა ქართველობას არგუნა. ევროპაში მყოფ ქართველისათვის ამის დანახვა მაინც და მაინც ძნელი არ არის. გადავავლოთ თვალი ჩვენ ემიგრანტულ პოლიტიკურ ჯგუფებს და მათში მყოფ მრავალ პიროვნებას. სრულიად ბუნებრივი და სისხლისაგან ნაკარნახევი მოვლენაა, რომ ყოველ ჯგუფს მისი აზრისა და მოქმედების შესაფერი წევრები უზიან კალთაში.

ამ დაკვირვების მიხედვით მოვუწოდებ ქართველ ახალგაზრდობას: ქართველო ახალგაზრდებო! ქვედაადამიანი ცდილობს, რომ ჩვენ მაღალ ჯიშს ფესვები გამოუთხაროს, იგი ჩვენი სისხლის და ჩვენი კულტურის შებილწვას აპირებს! მათ სურთ რომ ჩვენ მიწასა და ჩვენ წინაპრებს პატივი აჰყარონ! თუ მათ მიზანს მიაღწიეს, საქართველო დაღუპულია! ამიტომ ქართველო ახალგაზრდებო, გაახილეთ თვალები, იყავით ფრთხილად, მოუარეთ ჩვენ მაღალ ჯიშს, ჰფიქრობდეთ ამაზედ საკუთარი სახლის შექმნისა და შთამომავლობის განგრძობის გადაწყვეტის დროსაც, რათგანაც აქ იღებთ უდიდეს პასუხისმგებლობას ერის წინაშე. არ დაეწაფოთ ქვედაადამიანთა ფიალას, რომელიც მხოლოდ შხამით არის სავსე. ქვედაადამიანთა რიცხვი ჩვენში ჯერ მცირეა. მოახდინეთ ჩვენი კეთილშობილი ჯიშის აღორძინება და მტკიცე ნაბიჯით წინ სვლით გაკაფეთ გზა მაღალი ჯიშის მქონე და მარად დიდი საქართველოსათვის! მარტო ენა ჩვენ ვერ გვიხსნის, ვერც გაგვაერთიანებს და ვერც გაგვადიდებს! მომავალი მხოლოდ კარგი ჯიშის ქართველთა ეროვნულ სხეულს უნდა ეკუთვნოდეს!

ოთარ წერეთელი

ბერლინი

## † ღენერალ შაქრო ბაქრაძის ძვირფას ხსოვნას

გასული წლის 3 დეკემბერს, ტრაგიკულად გარდაიცვალა პოლონეთში დამსახურებული სარდალი და დიდი ქართველი მამულიშვილი ღენერალი შაქრო ბაქრაძე.

განსვენებული იყო შვილი ცნობილ ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძისა და იზრდებოდა ნამდვილ ქართულ მამულიშვილურ ოჯახში.

ტფილისის რეალურ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ალექსანდრეს საქვეითო სამხედრო სკოლაში. გაათავა თუ არა სამხედრო სწავლა, ცდილობდა გაწესებას იმ ჯარის ნაწილში, რომელიც საქართველოს ფარგლებში იმყოფებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ მისი თხოვნა არ იქმნა შეწყნარებული და მსახურობდა ჯერ ქალაქ ქმერინკოში და შემდეგ პორც-არტურში და ვლადივოსტოკში, სადაც იმ დროს ციმბირის დივიზიებს ადგენდენ. იქ მიიღო მონაწილეობა იაპონიის ომში, რომელშიც უშიშარი ვაჟკაცისა და რაინდის სახელი მოიპოვა. დიდი ომის დაწყებისას ქვეითა ჯარის პოლკის უფროსის თანაშემწეს მოვალეობას ასრულებდა, მაგრამ პირველი ბრძოლის შემდეგ პოლკის უფროსობა მიიღო. დასავლეთ ფრონტზედაც უდიდესი სამხედრო ნიჭი გამოიჩინა. ტყვედ მოხვდა უკვე როგორც ბრიგადის უფროსი. დაბრუნდა თუ არა ტყვეობიდგან, მაშინათვე ჩამოვიდა საქართველოში და შევიდა ქართულ ჯარში, სადაც იყო ჯერ ოფიცერთა პოლკის უფროსი და მონაწილეობა მიიღო აწყურის ფრონტზე თათრების წინაალმდეგ ბრძოლაში; შემდეგ დანიშნულ იქმნა სამხედრო სამინისტროს პერსონალური ნაწილის უფროსად.

საქართველოს უკანასკნელ ომის დროს 1921 წელს, თავისი თხოვნით წავიდა ბრძოლის ველზე და იყო ერთ-ერთი ფრონტის უფროსად. სამშობლოდან გადმოხვეწილი ღენერალი შ. ბაქრაძე დასახლდა პოლონეთში; აქ ის მსახურობდა ქ. ტორუნში 1925 წლამდე მე-15-ტე დივიზიაში, როგორც უფროსის თანაშემწე, სადაც უდიდესი სიყვარული და ნდობა დაიმსახურა; არაჩვეულებრივი პატივისცემით ეპყრობოდნენ ყველანი, მთელი პოლონეთის საზოგადოება და განსაკუთრებით დივიზიის უფროსი ღენერალი ტომმე.

თავისი რაინდული თვისებებით, სამშობლოსადმი უზომო და უსაზღვრო სიყვარულით, ძლიერი და ურყევი სულიერი და მორალური ღირსებებით ამშვენებდა აქაურობას, როგორც წარმომადგენელი ნამდვილი ქართველი მხედრობისა.

მშვენიერი მცოდნე ქართული ენის, ლიტერატურის და ისტორიის, განსვენებული იყო ცოცხალი სურათი ჩვენი ერისა; ყოველთვის ახალგაზრდა, მარდი და მოძრავი ვით მთის ნაკადული — შემოჰქონდა ყველგან სიცოცხლე და სინათლე.

სარდლის ტანით შემკული, გაგონებდათ ერეკლე მეფის მოქნეულ ხმლის ნაელვარს და მის ვაჟკაცურ ქართულ თვალებში, არწივისებურ მძლავრ და ურყევში, იხატებოდა ღრმა სევდა, ნისლით მოფენილი, რომლის სიღრმეში ეწერა — საქართველო.

სამშობლო იყო შენი ბედნიერება ძვირფასო ღენერალო, ქართველი ერი — შენი სიამაყე, რწმენათ გქონდა ჩვენი ქვეყნის აღდგომა.

ჩვენ ეროვნულ გმირებში შეყვარებული, მეტადრე ქაქუცას სახელის გაგონებაზე ლომი იღვიძებდა შენს გულში და ყოველთვის მზად იყავი თავ განწირული ბრძოლისათვის.

უწყალო განგებამ არ გაღირსა ბედნიერება სამშობლოს მკერდზედ მიძინებისა, იქ, შორეულ გორთან, სადაც ატენის ხეობის დასაწყისში მიკრულია შენი გაფურჩქვნილი ხიდის თავი, — იმაზედ ოცნებობდი, რომ სული შენი იქ მიბარებულიყო; ბედმა გიღალატა, უნდობელ ბედმა, და შენს საფლავზე ატირდა მწარე ცრემლით ჩრდილოეთის ნისლიანი ცა!

მშვიდობით საყვარელო და დაუვიწყარო უშიშარო რაინდო!

დეე, შენს გაულვიძებელ ძილში მუდამ გესიზმროს მომავალი ბრწყინვალე და აღორძინებული საქართველო.

პოლონეთი. მხედარი

---

ჟურნალ „კავკასია"ს იანვრის ნომერში (№ 1—20) ღენერალ შაქრო ბაქრაძის შესახებ მოთავსებულ ნეკროლოგს რედაქციამ გაუკეთა შენიშვნა, სადაც განსვენებული გამოყვანილია „კავკაზ"-ის მიმართულების თანამგრძნობად.

ჩვენ კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ ღენერალ შაქრო ბაქრაძეს არავითარი პოლიტიკური დამოკიდებულება არ ჰქონდა ზემოხსენებულ ჯგუფთან და არც მის მიმართულებას და საქმიანობას თანაუგრძნობდა. განსვენებული იყო თეთრი გიორგის დარაზმულობის დირექტორიის წევრი 1928 წლიდგან და ბოლომდე ღირსეულად ასრულებდა თავის მოვალეობას ორგანიზაციის წინაშე.

თ. გ. მთავარი სამდივნო

## განუყრელ ძმათა ხსოვნას

წარსულში ჩვენი დედები და მამები მხედრებს ზრდიდნენ და სამშობლოს ერთგულ დამცველთ უმზადებდნენ. ამ ძველ ისტორიულ და ტრადიციულ გზას არ აცდენია ღენერალი ალექსანდრე ჩხეიძე და მისი მეუღლე კვინიტაძის ასული, რომლებმაც მხედრული სწავლა - განათლება მისცეს ორ შვილს: დავითს და გიორგის.

ორივენი ერთ დღეს დაბადებულნი და სიკვდილამდე განუყრელნი, მშობლების პირდაპირ ხელმძღვანელობით იყვნენ აღზრდილნი ქართველ რაინდებად.

საქართველოში დაწყებული სამხედრო სწავლა ბრწყინვალედ დაამთავრეს პოლონეთში და ოფიცრებად შევიდნენ პოლონეთის კავალერიაში; მათი სამსახური პოლონეთის ჯარში, როგორც გადმოგვცემენ, იყო სამაგალითო და ბეჯითი საქმიანობით შემკული, და არც შეიძლებოდა სხვანაირად ყოფილიყო, რადგან ისინი იყვნენ მემკვიდრე ღირსეული მამის, იმ უბადლო ქართველი მხედრის, რომელიც ამაყად ატარებდა და დღესაც ატარებს უმაღლეს მხედრულ სულს, და რომელმაც აღზარდა ჩვენი საყვარელი იუნკრობა.

გოგას (გიორგი) სამსახური პოლონეთის ჯარში გაგრძელდა 1927 წლამდის. მას სულ ახალგაზრდას, ენერგიით და სიცოცხლის სავსეს, სიკვდილმა მოუსპო საშუალება ქართველი მხედრის სახელი კიდევ მაღლა ეტარებინა და მომავალში თავის ერისათვის სამსახური გაეწია. მისი ძმაც დუდა სიკვდილამდე მსახურობდა (გარდაიცვალა ორი თვის წინად) და მისი სამსახური აღნიშნულია პოლონეთის ჯარში როგორც საუკეთესო ოფიცრისა.

იგიც მაღლა იდგა თავის მოვალეობის ასრულებაში და ქართველი მხედრის სახელის განმტკიცებაში. განსვენებულ დავით ჩხეიძემ, როგორც სამსახურში აგრეთვე პირად ცხოვრებაშიც, სულ მალე დიდი ნდობა მოიპოვა, დაიმსახურა პატივისცემა და განსაკუთრებული სიყვარული მთელი პოლონეთის საზოგადოებისა.

მეტად მძიმეა ეს ორი მსხვერპლი ჩვენი სამშობლოსათვის და ქართულ მხედრულ ოჯახისათვის, რადგან ქართველი მხედრის აღზრდა დღევანდელ პირობებში მეტად ძნელია და ჩვენს ერს მის განთავისუფლებელ ბრძოლაში სწორედ მხედრები ესაჭიროება.

ულმობელმა სიკვდილმა მოგვტაცა ჯერ კიდევ სულ ნორჩი ორი მხედარი; ბედის უკულმართობის შეთქმულებით გადატყდა მათი ხმალი იმ დროს, როდესაც სამშობლოს თავისუფლების ნიავმა დაჰბერა და მისი გათელილი უფლებების ხანგრძლივ ტანჯვას ბოლო უჩანს; მათ არ ეღირსათ ბედნიერება სამშობლოსათვის თავდადებისა, მაგრამ გულდაწყვეტილ ქართველ მხედრობას ნუგეშად ის მაინც რჩება, რომ გიორგი და დავით მსახურობდნენ პოლონეთის ჯარში, რაც არის უახლოესი სამსახური საქართველოს თავისუფლებისათვის და მის პოზიციებზედ გუშაგად დგომა.

როგორც ყოველი კეთილშობილი ერი, მაღალი კულტურისა და წმინდა რასიული თვისებების მატარებელი, სამშობლოსათვის განწირულ მხედართ უაღრეს პატივსა სცემს და მათ სახელს უკვდავ ჰყოფს, ჩვენც, ქართველები მტკიცედ ვინახავთ ძვირფას ხსოვნას იმ ქართველ მხედართა, რომელთაც ხვდება წილად დაიმარხონ უცხოეთში, იქნება ეს რაინდულ პოლონეთში, ჯოჯოხეთ ხალხთა შორის შორეულ და სუსხიან ციმბირში; ყოველ მათგანს და მათ შორის გიორგისა და დავითს სიყვარულით უხსნით ჩვენს გულში თბილ და წარადიულ საფლავს.





თეთრი გიორგის სამხედრო სექციისა და მთელი ორგანიზაციის სახელით დამწუხრებული ვიდრეკ მუხლს ძვირფას გიორგის და დავითის წმიდა საფლავის წინაშე და უცხადებ გულითად თანაგრძნობას მათ ტანჯულ მშობლებს: განისვენონ თქვენმა შვილებმა მათ მეორე სამშობლოში, პოლონელ ერს შორის, რომელსაც ისინი თქვენსავით უყვარდა და მათზე თქვენსავით ზრუნავდა. განისვენონ იმ დრომდე, სანამ ალექსანდრე ბატონიშვილი სპარსეთიდან, მეფე სოლომონ ოსმალეთიდან და ქაქუცა ჩოლოყაშვილი საფრანგეთიდან არ გადალახავენ ჩვენი ქვეყნის საზღვრებს საქართველოს დიადი პანთეონის დასამშვენებლად. მაშინ იმათაც ჩაიკრავს გულში ტკბილად მრავალტანჯული და ნაწამები სამშობლოს მიწა იმ მრავალ თავდადებულ გმირებთან ერთად, რომელთა საფლავზე აღიმართება საქართველოს დიდების თვალუწვდენელი ძეგლი და რომელზედაც მადლიერი ქართველი ერი სამარადისოდ აღბეჭდავს შემდეგ სიტყვებს:

„აქ განისვენებენ რაინდნი, სამშობლოსათვის თავდადებულნი".

კოლონელ ფრიდონ წულუკიძე

## ორიოდე საყვედური ბ-ნ შალვა ამირეჯიბს

მინდა ორიოდე სიტყვით მივმართო ჩემს სიყრმით მეგობარს და ნათესავს, ბ-ნ შ. ამირეჯიბს, რომლსადმი ძმურ გრძნობას ჩვენი პოლიტიკური განსხვავება ჩემში ვერ აღმოფხვრის. სწორედ ამ მისდამი წრფელი გრძნობით ვხელმძღვანელობ, როცა მას ქვემორე საყვედურებით მივმართავ.

ბ-ნო შალვა! თქვენისთანა სამაგალითო ქართული ოჯახის შვილს, თქვენი აღზრდის ადამიანს არ ეკადრება ის მდაბალი დემაგოგია, რომელს თქვენ ბ. მ. წერეთლის მიმართ ხმარობთ, ქართული ტერიტორიის გამბოძებელ ჟურნალ „კავკასია"ში. ზოგი სენი გადამდებია და იქნებ ესეთი დემაგოგია მენშევიკებთან თანამშრომლობის დროს შეითვისეთ? თქვენ კარგად უწყით, რომ მ. წერეთელი უკვე 35 წელია რაც მარქსისტებს ებრძვის და არა „კავკასიური" სიმჩატით, არამედ გადამწყვეტი არგუმენტებით და მასზედ დიდი და მომაკვდინებელი ლახვარი მარქსიზმისათვის ჯერ არც ერთ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეს არ ჩაუკვრია. ეს ლახვარი გახლავთ მისი „ერი და კაცობრიობა", ნამდვილი ეროვნული მონუმენტი, რომელზედ აშენდა მთელი თაობის პატრიოტული აზროვნება.

კარგად უწყით ისიც, რომ ბ. მიხ. წერეთელს არც არასოდეს უთანამშრომლია მენშევიკებთან და არც ითანამშრომლებს. ხოლო თქვენ კი, მიუხედავად ჩვენი ძმური რჩევისა, საქართველოდან ჩამოსვლისთანავე მენშევიკებთან შეუდექით თანამშრომლობას, მთელი წლები ემსახურებოდით მათ და თქვენმა პოლიტიკურმა აკრობატიზმმა იმ ზომამდე მიგიყვანათ, რომ ნიკოლაი ნიკოლაევიჩთანაც კი გსურდათ დაკავშირება, რომ ამგვარ უზნეო და უგნურ პოლიტიკურ ნაბიჯითგან რამდენიმე ჩვენგანს არ გადაერჩინეთ. ამის შემდეგ თქვენ ბედავთ და მ. წერეთელს უკიჟინებთ იმას, რაც მას არ ჩაუდენია, ხოლო თქვენ კი ჩაგიდენიათ და საგულისხმოა, რომ კიდევ ჩაიდენთ. თავხედობა ამაზედ შორს ვერ წავა. ეს ერთი. ეხლა მეორე.

თქვენ ბ. მ. წერეთელს სწამებთ, ვითომ იგი „ვერცხლის ხანას" მავნე მოვლენად აცხადებდეს. ამასაც სადემაგოგიო მიზნითა სჩადით, რათგან კარგად უწყით და ჩემზედ არა ნაკლებ გაიგეთ მისი ნაწერი, რომ მიხ. წერეთელი „ვერცხლის ხანას" კი არა სთვლის უარყოფით მოვლენად, არამედ იმ გარეშე გავლენის ზოგიერთ მხარეს, რომელიც ამ ჩვენმა მეორე აღორძინების ეპოქამ განიცადა. პატარა მაგალითი: დიდი იყო ეროვნული ღვაწლი როსტომ მეფისა და მისი მეუღლე მარიამ დედოფლისა, მაგრამ ჩვენ სახელოვან მეფეს და მის სასახლეს სპარსეთითგან ჩამოჰყვა ზნე-ჩვეულებანი, რომელთ ეროვნულ კულტურას განსაზღვრული კვალი დააჩინეს და რომელნიც, უსათუოდ, მავნე მოვლენად უნდა ჩავთვალოთ. დიახ, არსებობდენ სპარსული გავლენანი ჩვენ კულტურაზედ, ჩვენ პოლიტიკურ

სისტემაზედ, რომელნიც არ ეგუებოდა ქართულ ფსიქოლოგიას და ბუნებას. მაშასადამე ვნებდა და აფერხებდა ქართულ ინდივიდუალურ გენიას მისი ბუნებრივი განვითარების გზაზედ და ამიტომ ეს მოვლენანი უარყოფითად უნდა ჩავთვალოთ. აი რა სთქვა ბ. მ. წერეთელმა, რომელს „კავკასიის" თანამშრომელნი ქართული კულტურის შეფასების გაკვეთილებს ვერ მისცემენ.

ბ-ნ მიხ. წერეთელმა კი არ დაჰგმო ვერცხლის ხანა, მაგრამ თქვენმა თანამშრომელმა, „კავკასიის" არმაზმა ბ. ზ. ავალიშვილმა კი თასლაფი გადაასხა მთელ „ოქროს ხანას", გამოიყვანა რა მისი ზნეობრივ-სულიერი სარკე „ვეფხის ტყაოსანი" სოდომისად. ეს რად გავიწყდებათ?

ლეო კერესელიძე

## ბიბლიოგრაფია

სამშობლოთგან გარდმოხვეწილნი ქართველნი ახლაც, ამ უკანასკნელ დროს ჩვენი ეროვნული უბედურებისა, ერთგულნი დარჩენ ძველი ტრადიციისა: კვალი დასტოვონ თავისი ცხოვრებისა, უცხოეთითგანაც არგონ რამ თავის ქვეყანას, შესძინონ მისი კულტურის ზრდას. და მიუხედავად გაჭირვებისა, სიღარიბისა და უპოვარებისა სხვილი წიგნებიც კი იწერება და იბეჭდება ქართულად.

ოთხი ასეთი ძვირფასი წიგნი მაქვს ამ ჟამად ხელთ და არ შემიძლია არ ავღნიშნო ის სიამოვნება, რომელიც მათი წაკითხვისას განვიცადე, ხოლო მათი სრული დაფასება ამ მცირე შენიშვნაში შეუძლებელია:

1. „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ - სვანეთში 1919 წელს" ბ-ნი ექვთიმე თაყაიშვილისა, პარიზი 1937 წ.

2. „არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა - ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს", იმავე ავტორისა, პარიზი 1938 წ.

ვინც ბატონი ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლს იცნობს, რომელიც მან დასდვა ჩვენი მწერლობისა და ხელოვნების ძეგლთა შეკრება-აღწერისა, გამოცემისა და კვლევის საქმეს საქართველოში, მან უნდა განიცადოს აგრეთვე თანა-სიხარული დაუღალავ მცხოვან მეცნიერთან, რომელსაც მწუხრსაც მისი ცხოვრებისა შეძლება მიეცა აქ, უცხოეთში გარდმოხვეწილს, თავის ღვაწლი განეგრძო ამ ძვირფასი წიგნების გამოცემით, სადაც უბრალო ქვაც კი არის აღწერილი, მღაღადებელი წინაპართა საქმეთა. და ე. თაყაიშვილის ხელოვნება საგანთა ცნობისა და წარწერათა კითხვისა ვინც იცის, მას აგრეთვე სრული ნდობით ამ წიგნთა შეუძლია განამდიდროს თვისი ცოდნა ჩვენი კულტურული წარსულისა. რასაკვირველია უფრო ბედნიერნი ვიქმნებოდით, სურათებიც რომ გამოექვეყნებია ბ. ე. თაყაიშვილს, მაგრამ ამის შეძლება ჩვენ ღარიბ ემიგრაციას არა აქვს. ეს, ვიქონიოთ იმედი, შემდეგ შეიქნება შესაძლებელი, საქართველოში მაინც, ხოლო ამ წიგნებში გამოქვეყნებულია მრავალი ფრიად საინტერესო წარწერა და აქ, ჩვენ მდგომარეობაში, ამითაც უაღრესად კმაყოფილნი უნდა ვიყვეთ.

განსაკუთრებით საინტერესოა ტაო-კლარჯეთის ნაშთთა აღწერა. დიდი ხანია ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტს, რომ საქართველოს ამ კუთხეებში ბევრ ადგილს სომხური სახელები ჰქვია: ფანასკერტი, მიძნაძორი, იშხანი, შატბერდი და სხვ. ნ. მარის აზრით, რომელიც მან გამოსთქვა მის შესანიშნავ გამოცემაში გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრებისა", აქ წინათ შერეული მოსახლეობა უნდა ყოფილიყო ქართველთა და სომეხთა, რომელთაც ქალკედონის სარწმუნოება ჰქონდათ მსგავსად ქართველთა. კ. კეკელიძის აზრით (ქართ. ლიტ. ისტორია ტ. I, გვ. 96) აქ გაძლიერებულა V—VII საუკ. სომხური საეკლესიო გავლენა. სომხებს გაუშენებიათ აქ მონასტერი ოპიზა, ხანძთა, იქშხანი, მიძნაძორი, შატბერდი და სხვა, სადაც კულტურული შემოქმედებითი და ლიტერატურული მუშაობა „სდუღდა და გადმოდუღდაო". მერვე საუკუნის პირველ ნახევარში ეს მხარე გაანადგურეს არაბებმა და მხოლოდ შემდეგ გაშენდა იგი ისევ და ქართველ ბაგრატიდთა პატრონობით იქ გაძლიერდა ქართული მოსახლეობა და კულტურაო, ჰფიქრობენ მარი და კეკელიძე. ჩვენ კი საქმის ვითარება შემდეგნაირად წარმოგვიდგენია: ტაოს ქვეყანა გაცილებით უფრო დიდი იყო ძველის-ძველად. იქ ქართველები ცხოვრობდენ, მაგრამ მისი სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი სომეხთა შემოსევამ გაასომხა. ხოლო ის ნაწილი ტაოსი, რომელიც ისტორიულად ცნობილია როგორც ქართული პროვინცია, მუდამ ქართველებით იყო დასახლებული, მაგრამ, როგორც ეს საზღვარზედ ყოველთვის ხდება, იქაც შემოდიოდენ სომეხთა ელემენტები, კოლონისტები. ქრისტიანობის ხანაში (5—7 ს.) მათ მონასტრებიც ჰქონიათ, მაგრამ მათი ეროვნული კულტურულ - შემოქმედებითი და ლიტერატურული მოღვაწეობა სწორედ არ „დუღდა და არ გადადუღდა", მით უმეტეს რომ იგინი ქართველებსავით ქალკედონიტობას დაადგენ. არა სჩანს ქართულ ტაო-კლარჯეთში არავითარი დიდი კვალი სომხური ეროვნულ-კულტურული შემოქმედებისა. ხოლო მეცხრე საუკუნითგან, არაბთა განადგურების შემდეგ, იქ გაძლიერდა ქართული ეროვნულ-კულტურული შემოქმედება და ამისი უძლიერესი კვალი და უდიდესი ნაშთები დღეს იქ სახილველი და საკვლევი. სომეხ ქალკედონიტებს კი თვით სომხეთშიაც ქართული წირვა - ლოცვა ჰქონიათ და მათ მონასტრებსა და ეკლესიებში ქართულ წარწერებსა ვკითხულობთ. აი ამ საკითხის გამოსარკვევადაც დიდად მნიშვნელოვანია ბ-ნ ექვთიმე თაყაიშვილის მეორე წიგნი, აგრეთვე ისტორიისათვის ქართული ხუროთ-მოძღვრებისა, რომლის საუკეთესო შემონაქმედი არის ბანის ეკლესია ოლთისის მხარეში, უშესანიშნავესი ძეგლი ქართული ხელოვნებისა, მიუხედავად ყოველივე „უპირველეს გავლენისა", რომლის გარეშე არც ერთი ძეგლი არც ერთი განვითარებული ხელოვნებისა არ მოიპოება ქვეყანაზედ.

ვუსურვებთ ბ-ნ ექვთიმე თაყაიშვილს კიდევ ხანგრძლივ სიცოცხლეს და სიმრთელეს, რომ კიდევ შესძლვნას მსგავსნი ძღვენნი საქართველოს კულტურის მეცნიერებას.

---

3. „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში", თამარ პაპავასი, პარიზი, 1937 წ.

ამ წიგნში აღწერილნი არიან ბრძოლანი, საქმენი და თვისებანი იმ ქართველ ქალთა, რომელთაც ისეთი დიდი როლი აღუსრულებიათ საქართველოს სახელმწიფოს დაღუპვის წინააღმდეგ ერის ბრძოლაში მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს და მეცხრამეტეს დასაწყისს. თვის ექვს ნარკვევში: „მეფე ერეკლეს ქალები", „ქართველი ქალი და 1832 წლის შეთქმულება", „ალექსანდრე ბატონიშვილი და მისი ოჯახის ბედი", „იმერეთის ქალების ეპიზოდები დასავლეთ საქართველოს ბრძოლათა ისტორიიდან", სამეგრელოს დედოფალი ნინო" და „ბატონიშვილი დარეჯან" (იმერეთის მეფის სოლომონ პირველის ასული) ქალბატონი თამარ პაპავა დასახულ მიზანს აღწევს და გვაძლევს სურათს მაშინდელ ბრძოლათა, ამ ბრძოლებში მონაწილე ქალთა როლისა და თვისებათა. საკმაოდ დიდი მასალა აქვს შეკრებილი ქალბატონ. თამარს, რაიცა უცხოეთში ძნელ საქმედ უნდა ჩაითვალოს, და მით უმეტეს არის იგი მადლობის ღირსი, რომ, მიუხედავად მრავალ დაბრკოლებათა, მან ეს ქართველი ქალისაგან პირველი ცდა ქართველ ქალთა პოლიტიკურ და სხვა ღვაწლთა აღწერისა შეჰმატა ქართულ მწერლობის სალაროს. ქ-ნ თამარს თვის მიერ შეგროვილი მასალაც კარგად აქვს დალაგებული და ამიტომ მოთხრობათა მსვლელობაც წარმტაცია მკითხველისა. საქართველოს მრავალ საუკუნეთა ისტორიაში მრავალ ქალსა ვხედავთ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეობის სარბიელზედ. ქალბატონი თამარ პაპავას მიერ აღნიშნულნი მხოლოდ ერთი ეპოქისანი არიან. იყვნენ საქართველოში დიდნი მეფე-ქალნი, სხვანი დიდი პოლიტიკურ ნიჭით დაჯილდოებულნი, თავდადებულნი და მოწამენი, აგრეთვე ისეთებიც, რომელთა საქმენი მზეებრ არა ბრწყინავენ. და ჩვენ გვსმენია, რომ ქ-ნი თამარი განაგრძობს მასალის შეგროვებას, რომ ყველა ამ ქალთა თავ-გადასავალი, თვისებანი და როლი ჩვენ ისტორიაში მოგვითხროს, — ყოველი მათი კარგი და ავი.

ვუსურვებთ ქ-ნ თამარსაც მალე დაესრულებიოს თვისი შრომა და იმ სხვა ქართველ ქალთა სახეებიც წარმოედგინოს ჩვენთვის.

4. „თეიმურაზ I და მისი პოემა: წამება ქეთევან დედოფლისა". დამატება: „სამი ისტორიული საბუთი", ზ. ავალიშვილისა, პარიზი 1938წ.

ეს წიგნი მით არის შესანიშნავი რომ ბ. ზ. ავალიშვილს ქართული მასალის გარდა უხვად გამოუყენებია ევროპიული მასალა, იმ ეპოქის ევროპიელ მოგზაურთა მიერ აღწერილი ამბები, დიპლომატთა და პოლიტიკურ აგენტთა მოხსენებანი და მოგონებანი და ევროპიული სიტყვა - კაზმული და სხვა ლიტერატურული ძეგლებიც, როგორც ანდრია გრიფიუსის ტრაღედია: „ეკატერინე ქართველი" (1657 წ. და შემდეგ) და კლოდ მალენგრის: „ტრაღიკული ამბები ჩვენი დროისა" (1635).

ჩვეულებრივი ნიჭით წარსულის სურათის აღდგენისა ბ. ზ. ავალიშვილი ნათლად წარმოგვიდგენს საქართველოს მდგომარეობას მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში და უშუალოდ შემდეგ, მის დამოკიდებულებათ სპარსეთთან, ოსმალეთთან, ევროპასთან, რუსეთთან. ბ. ზ. ავალიშვილმა თავისი გამოკვლევით თვით თეიმურაზ პირველის პოემის გაგებაც სავსებით შესაძლებელი ჰყო.

საინტერესოა აგრეთვე ბ. ზ. ავალიშვილის მიერ დამატებად გამოცემული და განმარტებული სამი ქართული ისტორიული საბუთი მეჩვიდმეტე საუკუნისა. მათ ისტორიულის გარდა დამწერლობითი და ფილოლოგიური მნიშვნელობაც აქვს. საბუთები ამოღებულია წერილების ნიმუშთა კრებულითგან, რომელიც პარიზის ნაციონალურ წიგნთ-საცავშია შენახული (შედგენილი ალბათ მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში) და ეს სამი სანიმუშო წერილი მაჩვენებელია იმისა, „თუ როგორი იყო ამ სამწერლობო დარგის დონე მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეების საქართველოში".

გვსმენია რომ ბ-ნ ზ. ავალიშვილს კიდევ ბევრი ნაკვლევი აქვს ქართული ისტორიისა და კულტურის დარგში, ბევრი საკითხი გაშუქებული ევროპიულ მასალათა გამოყენებით და, მათი დახმარებით, ქართულ მასალათა უკეთესი გაგებით. ვუსურვებთ აგრეთვე მას, მალე მისცემოდეს შეძლება მათი გამოქვეყნებისა.

---

ხან და ხან ევროპის მწერლობაშიაც ვხვდებით ხოლმე საინტერესოს საქართველოს და ერთობ კავკასიის შესახებ. ფრიად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ამ მხრით ახალი, ორიგინალური აზრებით ალსავსე წიგნი გერმანელი მეცნიერის ა. სანდერსისა:

გერმანელი მეცნიერის წარმოდგენით ევროპას ჰქონია მუდამ და აქვს თვისი ისტორიული სივრცე. ამ სივრცეზედ წყლის გზები მიდიან ერთი მხრით ჩრდილოეთის ზღვითგან რაინზედ, მაინზედ, და დონაუზედ შავ ზღვამდე, მეორე მხრით აღმოსავლეთის (ბალტიის ზღვითგან) ვისლაზედ, ზანზედ და დნეპრზედ შავ ზღვამდე, მესამე მხრით ხმელთაშუა ზღვითგან ბოსფორზედ შავ ზღვამდე და შემდეგ კასპიის ზღვამდე.

აი ამ სივრცეზედ ხდებოდა ევროპის ხალხთა მოძრაობა და აქ ვითარდებოდენ დიდნი კულტურანი ევროპისა. რასიული და კულტურული ერთობა ამ სივრცეზედ მცხოვრებ „ევროპიელ" ხალხთა ყოველთვის არსებობდა, არგონავტების მითოსის ნათესაობა ამ ხალხთა ენათა, ხელოვნებისა, მუსიკისა და სხვ. დამამტკიცებელია ამისა. კავკასია დროითგან მოყოლებული, და დღესაც არსებობს. უკანასკნელი ნაწილია ამ სივრცისა და სწორედ ბრინჯაოს კულტურა კავკასიისა ენათესავება ამავე კულტურას დონისა, დნეპრისა, დონაუსა და რაინისა, საშუალო და ჩრდილო გერმანიის ქვეყანათა. კერძოდ ქართული მუსიკა მხოლოდ ევროპიულს ენათესავება, არა ეგრედ წოდებულ აღმოსავლურს, რაიცა დიდი დამამტკიცებელი საბუთია ქართველთა და ევროპის ხალხთა უძველესი რასიული კავშირისა. ამ სივრცეზედ ჩამოესხენ ევროპიერები და მათი სახელმწიფონი—ბერძნების, რომაელების, გერმანელების, სლავების და სხ. აგრეთვე ქართველებისა კავკასიაში. ეს სისტემა იყო საფუძველი ევროპის კონტინენტალური პოლიტიკისა უხსოვარი დროითგან და არის დღესაც! ამ პოლიტიკას ემსახურებოდენ ალექსანდრე მაკედონელი, რომი, გუთების სახელმწიფო, კიევის სახელმწიფო, რათგანაც ევროპის სივრცეს მუდამ ემუქრებოდენ აზიის ხალხები. როდესაც იმარჯვებდა აზია (როგორც მაგალითად მონღოლების შემოსევის დროს და შემდეგ თურქების გაძლიერებისა, როდესაც მათ ვენას მიაღწიეს), მაშინ იშლებოდა ერთობა ევროპისა, წყდებოდა კავშირი ჩრდილოეთის ზღვასა და შავ ზღვას შორის, რაიცა ყოველთვის კრიზისს იწვევდა ევროპაში. ამითაც აიხსნება თურქების გაძლიერების შემდეგ დასავლეთ ევროპის მიმართება ინდოეთისაკენ და შორეულ აღმოსავლეთისაკენ და ამერიკისაკენ. ევროპიული კონტინენტალური პოლიტიკა ქრება, დედა-საშუალო ევროპა სუსტდება, ძლიერდება მოსკოვის სახელმწიფო, მემკვიდრე მონღოლთა სახელმწიფოსი. იგი აშორებს დედა-ევროპას ფინეთს, ბალტიის ქვეყნებს, პოლონეთს, უკრაინას და კავკასიას. ევროპის კონტინენტალური პოლიტიკის განახლება წინად ნაპოლეონმა სცადა, ახლად კი სცადეს ინგლისმა და საფრანგეთმა, მაგრამ მათი ცდა ცუდად გათავდა, რათგანაც მათ ვერ გაიგეს მნიშვნელობა დედა-ევროპისა, რომლის სიძლიერეც აუცილებლად საჭიროა ამ პოლიტიკისათვის, მათ კი სწორედ მისი დასუსტება მოინდომეს. ხოლო დღეს გაძლიერებული იტალია სცდილობს მოაწესრიგოს ხმელთაშუა ზღვის სივრცე, გაძლიერებულმა გერმანიამ კი უნდა მოაწესრიგოს სამხრეთ აღმოსავლეთი ნაწილი ევროპისა.

გერმანელ მეცნიერს ამ სივრცის ყოველი ერის ისტორია, კულტურა და როლი აქვს განხილული მოკლედ. პეტერბურგის იმპერია მას მიაჩნია ევროპის ერთგვარ ცდად რუსეთის მოცილებისა აზიისაგან, ხოლო გაიმარჯვა მოსკოვმა, ნამდვილმა აზიამ ბოლშევიზმის სახით, მოსპო რა პეტერბურგის იმპერია, და ახლა დგას უდიდესი პრობლემა ევროპისათვის ამ მოსკოვ - ბოლშევიკურ აზიის უკუგდებისა უკრაინისა და კავკასიის საზღვართ იქით.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ცალკე თავი საქართველოს შესახებ, სადაც ავტორი აღნიშნავს საქართველოს კუთვნილებას ევროპისადმი და მოგვითხრობს მის ისტორიას სრული გაგებით ამ ისტორიისა, სწორი დაფასებით ქართული კულტურისა და ნამდვილი მიხვედრით საქართველოს ეროვნულ და პოლიტიკურ მისწრაფებათა. მოგვითხრობს რა ბოლოს საქართველოს ბედს 1783 წლითგან 1921 წლამდე, გერმანელი მეცნიერი დაასკვნის: „საქართველო კვლავ იყო ცნობილი რუსეთის მიერ როგორც სუვერენული სახელმწიფო, ახლა საბჭოთა მოსკოვის მიერ. ეს ხელშეკრულებაც დაარღვია საბჭოთა მოსკოვმა და დაიჭირა საქართველო 1921 წელს. კიდევ ხელშეკრულების დარღვევა, კიდევ უსამართლობა! კვლავ იბრძვის საქართველო დამპყრობის წინააღმდეგ, მაგრამ ახლა არა მარტო თვისი უფლებრივი მდგომარეობის აღდგენისათვის, არამედ აღდგენისათვის ევროპის ქვიანის წესიერებისა ბოლშევიზმის წინააღმდეგ".

მ. წ.

## ზოგი რამ კომუნისტურ პრესაზე

იმ 8—9 ყოველდღიურ გაზეთში რომელიც საქართველოში გამოდის და რომელსაც საბჭოთა მოქნილი აღრიცხვა იხსენიებს, გაზეთი „კომუნისტი" ყველაზე უფრო საყურადღებო და შეიძლება ითქვას, უფრო გავრცელებულიც არის, რომლის რიცხვი 27 ათასიდან 69 ათას (?) აღწევს და რომლის მიწოდებაში აღსანიშნავ როლს თამაშობს საქართველოში არსებული 1400 (?) ბიბლიოთეკა, ქოხ-სამკითხველო. უნდა ითქვას, რომ ამ ქოხ-სამკითხველოთა უმწეო მდგომარეობას თვით საბჭოთა პრესაც არ მალავს.

როგორც ყოველი გაზეთის ბუნება არის „კომუნისტსაც" აქვს თავისი მიზნები და ცდილობს მოკლედ და დალაგებით მიაღწიოს თავის დასახულ საწადელს.

უცნაური ბოლშევიკური გაგებიდან გამომდინარეობს, რომ რწმენა და უფლება „ოპიუმია" (და არა კეთილის მყოფელი ძალა საზოგადოებისა) და პრესაც მათ ხელში, ენერგიულ საშვალებად გადაიქცა ამ გამაბრუებელი მეთოდისა.

ეს პრესა არკვევს ახალ წყობას საზოგადოებისა და იმდენად იძულებულია და შეზღუდული, რომ მაგალითად, მეცნიერული წერილი ისეთ საკითხზე, როგორც მესაქონლეობა, ან ტეხნიკა მადნების გამოტანისა, სოციალისტურ თეორიათა და „ბელადთა" ხოტბით და გამართლებით უნდა იყოს მოცული.

კომუნისტურ პრესის მთავარი სულიერი პატრონები მოსკოვში სხედან და მოსკოვის გაზეთებით იძლევიან დარიგებებს და პოლიტიკურ ბრძანებებს. საქართველოსაც ჰყავს მასზე დამოკიდებული ხელმძღვანელი მართველნი და მოსამსახურენი, ბოლშევიკური ისტორიკოს - თეორეტიკოსები, ჟურნალისტები და სხვ. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავი და საყურადღებო იყო, ამ უკანასკნელ ხანებში, ჩეკის ცხოვრებიდან გამოსული ლ. ბერია, რომელიც თავისი ისტორიული ნარკვევებით, მოხსენებებით და დირექტივებით, მთავარ წყაროდ ითვლებოდა „კომუნისტის" ფურცლების შესავსებად.

საერთოდ სწერს ხალხი, რომელთა მომზადება დიდათ სუსტია, და რომელთა წარმოდგენანი რამოდენიმე ღარიბ ბოლშევიკურ გაგებაზე ხურდავდება. გაბრუნდების ისეთ ფორმებს აქვს ადგილი, რომ უნებლიედ გვახსენდება ერთი იქაური ქართველი მწერალის ნაღვლიანი შენიშვნა: „მეცოდება ისტორიკოსი, რომელიც ჩვენი დროის შესწავლას მოინდომებსო".

მწიგნობარი ქართველი ხალხის აზრი მაინც გამოსჭვივის აზრთა და წინადადებათა შორის ამ გაზეთში და გამოცდილი ქართველი მკითხველი ბევრ რამეს დაინახავს შიგ: რომ იძულებითი წნევა კომუნისტური პრესისა ქართულ საზოგადოებაზე თავდება მსხვერპლით, შემოქმედების უნარის დაკლებით, პიროვნებაში ორმაგი ხასიათის დამუშავებით და სხვ. დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც გაზეთ „კომუნისტში" ილია ჭავჭავაძის შესახებ მ. ჯავახიშვილის მშვენიერი მოგონებანი ქვეყნდებოდა, რომელიც ქართველ მკითხველს თვისი გაშლილი ენით, ბევრ რამე საგულისხმოს ეუბნებოდა. წერილები გაგრძელებათ გამოდიოდა და ეხებოდა მეტად ფაქიზ მხარეს საქართველოს სულიერი ცხოვრებისა. ჩვენ ამ წერილის გაგრძელებანი ველარ ვიხილეთ... სულ ცოტა ხნის შემდეგ ხმა გავრცელდა უცხოეთში მიხ. ჯავახიშვილის დახვრეტისა; იგი გახდა მსხვერპლი თავის წერილისა მოიშორეს კომუნისტებმა ბევრის მცოდნე, სიმართლის მთქმელი, მათთვის უსიამოვნო ადამიანი სწორედ იმ დროს როდესაც ილიას პანაშვიდს უხდიდნენ...

კომუნისტური პრესა არაჩვეულებრივის უტიფრობით ამართლებს ყოველივე საბჭოთა საქციელს: კოლხოზურ, მეურნეობის გასატარებლად, ჩამორთმეულ და შეგროვილ იქმნა უამრავი საქონელი; რაც ასეთ პირობებში ბუნებრივად მოსალოდნელი იყო, საკმარის საშვალებათა უქონლობის გამო, უამრავი პირუტყვი გაწყდა. შეცდომათა „გასასწორებლად" მთელი რიგი ამ საქმის მოხელე აგრონომები დახვრიტეს. პრესასაც სხვა გზა არ დარჩენოდა რა, გარდა ამ ბარბაროსულ მოვლენათა გაცხარებით დაცვისა. არსად ხმა არ იყო ხელისუფლების ველურ ნაბიჯზე; ვინ გაბედავდა!

საყურადღებოა აგრეთვე პოეზია საბჭოთა ჟურნალებში, სადაც დაცემასთან ერთად მთავარი გულწრფელი აზრი თავის კვალს მაინც არ ჰკარგავს და მისტიური სასწაულებრივი აღმონახეთქით ლაპარაკობს პირობებზე, რომელშიდაც ქართველ პოეტს უხდება მუშაობა და ლექსის წერა.

ბრიუსელი

ი. ოთხმეზური

## მარიამ კერესელიძე «DEESE DU CHEVAL»

ასეთი სახელწოდება დაიმსახურა მაროკოში ჩვენმა ახალგაზრდა თანამემამულემ.

როგორც გაზეთ „თეთრი გიორგის" მკითხველებს ახსოვთ, მან ერთი წლის წინათ დიდი რეკორდი აიღო: 440 კილ. მანძილი პარიზიდან კასაბლანკამდე ხუთ დღეში გაიარა.

ბევრჯერ ისახელა თავი მას შემდეგ 17 წლის მარიამმა, ბევრჯერ აიღო პირველი ჯილდო სხვა და სხვა დიდ შეჯიბრებებზე.

უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით აღსახიშნავია მარიამ კერესელიძის ორი დიდი გამოსვლა.

ქ. ლარაშში ესპანეთის წითელი ჯვრის სასარგებლოდ გაიმართა კორიდა, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღეს უდიდესმა ტორეადორებმა. მარიამი მიწვეული იყო კორიდის გასახსნელად, რაც არაჩვეულებრივ პატივს წარმოადგენს ესპანეთის ტრადიციის მიხედვით და გვიჩვენებს თუ რამდენად ცნობილია და განთქმული მისი სახელი.

ადგილობრივი ჟურნალ - გაზეთების ცნობით მარიამმა კორიდა გახსნა აუწერელი სილამაზით. „გამოვიდა მშვენიერ ცხენზე შოლტივით, კეპტარივით ჩამოსხმული ქალიშვილი და წარსდგა სულთანისა და უმაღლესი კომისრის წინაშეო". სწერს ლარაშის ერთი გაზეთი. შემდეგ აწერილია მარიამის მიერ კორიდის გახსნა დაწვრილებით და ბოლოს კორესპონდენტი დასძენს: „კოხტად შემოუარა ახალგაზრდა ქართველმა მსახიობმა სამჯერ არენას და შემდეგ ელვის სისწრაფით გაჰქრა. ისე მშვენივრად შეასრულა თავისი როლი, რომ ოცი ათასი დამსწრე ფეხზე წამოდგა და ოვაციებს ბოლო არ ჰქონდაო".

მარიამის მეორე გამოსვლა, რომელმაც მას დიდი გამარჯვება მოუტანა, მოხდა ა.წ. 25 მარტს, საფრანგეთის მაროკოში, ქ. რაბატში, სადაც სულთანი და საფრანგეთის მთავრობა წელიწადში ერთხელ მართავენ დიდ დოღს. ამ დოღზე მონაწილეობას ღებულობენ საუკეთესო ცხენოსნები ყველა ქვეყნებითგან. შეჯიბრი ხდება ორჯერ: პირველ დღეს გადარჩევის დოღი იმართება, (გადასახტომია 16 ღობე და ერთი ოთხ მეტრიანი თხრილი).

დიდ დოღზე მხოლოდ გადარჩეულთ შეუძლიათ მონაწილეობა. მარიამმა ორივე დოღზე გაიმარჯვა და პირველი ჯილდო აიღო. აღსანიშნავია, რომ მან დიდ დოღზე თავის საკუთარ სისწრაფის რეკორდს გადააჭარბა.

იქაურ გაზეთებს მოყავთ მარიამ კერესელიძის სიტყვები, რომლითაც მან უპასუხა მისი საზღაპრო გამბედაობით განცვიფრებაში მოსულ ჟიურის თავმჯდომარეს ღენერალ სენ მორისს: „მე გავბედე ეს იმიტომ, რომ არა მხოლოდ ჩემი სახელით, არამედ ქართველთა სახელით შეველი ამ ბრძოლაშიო".

მაგრამ მარიამის ნიჭი მარტო ცხენოსნობით არ განისაზღვრება, მას აღმოაჩნდა აგრეთვე არაჩვეულებრივი მუსიკალური ნიჭიც. არა ერთხელ გამოსულა ადგილობრივ დიდ ქალაქებში საკუთარი კონცერტით და ყოველთვის დიდი გამარჯვება მიუღია. უკანასკნელად მიწვეული იყო ესპანეთის მაროკოს სატახტო ქალაქ ტეტუანში. კონცერტი გაიმართა სულთანის სასახლეში, რომელსაც დაესწრენ სულთანი, უმაღლესი კომისარი, ღენერალური შტაბი და მთელი დიპლომატიური კორპუსი. მარიამმა იმღერა ქართული, მაროკული, სპარსული, ანდალუზიის და თურქული სიმღერები, იცეკვა ქართული, ალჟერული და ბერბერული ცეკვები. ადგილობრივი პრესის ცნობით მან მთელი საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. კონცერტის შემდეგ ესპანეთის მთავრობის წარმომადგენელმა წინადადება მისცა შემოიაროს ესპანეთის ყველა დიდი ქალაქები კონცერტის მისაცემად. სულთანმა მიიწვია სანადიროდ და ნადირობის დროს შესთავაზა თავისი საუკეთესო ცხენი, რაც ადგილობრივი ტრადიციით იშვიათი პატივია, შემდეგი სიტყვებით: „ვიცი ჩემს ცხენს შენზედ უკეთესი მხედარი არ ეღირსებაო".

მხურვალედ მივესალმებით მარიამს, რომელმაც აფრიკაშიც ასახელა ქართული ნიჭი, სილამაზე და გამბედაობა, ულოცავთ მას დიდ გამარჯვებას და წრფელი გულით უსურვებთ ბრწყინვალე მომავალს.

თეიმურაზ წულუკიძე

## მადლობა

**ულრმეს მადლობას ვუცხადებ ყველას, ვინც ჩემი 60 წლის შესრულების დღე ჩემი პატივისცემით აღნიშნა, გულ-წრფელი სტრიქონები მიძღვნა ჩვენ პრესაში, ან შორითგან მომილოცა.**

მ. წერეთელი

## ეთერ რუხაძის კონცერტი

სიამოვნებით აღვნიშნავთ 13 წლის ეთერ რუხაძის პირველ გამოსვლას ა.წ. 12 მარტს, გავოს დარბაზში, სადაც მან მშვენივრად შეასრულა მოცარტის, ბახის, მენდელსონის, შოპენის და ვებერის ნაწარმოებები. დამსწრე საზოგადოებამ დაუსრულებელი ოვაციით დააჯილდოვა პატარა ეთერი.

ამ იშვიათი და არაჩვეულებრივი ნიჭის მქონე ბავშვს პირველი ჯილდოთი დაუმთავრებია მონპელიეს კონსერვატორია და დღეს წარმატებით განაგრძობს სწავლას პარიზის ნაციონალურ კონსერვატორიაში, სადაც საუკეთესო მოწაფედ ითვლება. უსურვებთ მას დიდ და საამაყო მომავალს.

ს. ჯილაური

---

ქართველი საზოგადოება დიდი თანაგრძნობით შეხვდა ქაქუცას შესახებ სახალხო ლექსების შეგროვებისა და წიგნაკის გამოცემის განცხადებას. უკვე მიღებული მაქვს ოცამდე ხალხური ლექსი.

თუ კიდევ ვინმეს აქვს ლექსი ან საინტერესო მოგონება ჩვენი ეროვნული გმირის შესახებ, ვსთხოვ გადმოგზავნოს „თ. გ." რედაქციაში.

ელიზბარ მაყაშვილი

### შეცდომათა გასწორება

„თ. გ."-ის მე-104 ნომერში (1938) შეცდომები იყო:

გვ. 1, სვ.1, სტრ. 33 ქვ. დაბეჭდილია: nouvelle differénce, უნდა იყოს: differénce.

გვ. 3, სვ. 4, სტრ. 10 ფელ. დაბეჭდილია: მოსთხოვეს; უნდა იყოს — წარუდგინეს.

გვ. 3, სვ. 1, სტრ. 17 ქვ. დაბეჭდილია: მიაჩნდა; უნდა იყოს — არ მიაჩნდა.

გვ. 1, სვ. 1, სტრ. 26 ქვ. დაბეჭდილია; სულის; უნდა იყოს — როლის.

---

შემოწირულება და საწევრო გადასახადი გთხოვთ გადმოუგზავნოთ თ. გ. ხაზინადარს ბ-ნ შალვა გიორგაძეს: 6, Square Albin Cachot — Paris - 13

რედაქციის მისამართი:
5, rue Catulle Mendès — Paris - 17.

La gérante : Mme V-ve Posteaux.
Imprimerie de NAVARRE — 5, rue des Gobelins. Paris-13e.

ეროვნული ბიბლიოთეკა